# ალია

1 ლ 70 თ



## „ერისიონი“ შეიძლება, მოსკოვში მაინც წავიდეს?

N35/2965/ 7-10 მარტი 2014 წ

PRESS

ფასი 70 თ

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

თუკი დასავლეთმა იანუკოვიჩის ანგარიშები დააყადაღა, რატომ არ აყადაღებენ სააკაშვილის, ინტერპოლით ძებნილი კეზერაშვილისა და ადეიშვილის ანგარიშებს?



რა წერია საკრებულოს მიერ მომზადებულ თბილისის ბიუჯეტის პროექტში, რომელსაც არ ამხელენ?



რუსეთი ყირიმს იერთებს, გაიფორმებს თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალსაც?



ექსკლუზივი

რას მოითხოვს და რისთვის აშანტაჟებს გიგა ბოკერია ევროკავშირის ელჩს, ფილიპ დიმიტროვს?!



## რატომ ვერ აღკვეთა „ოცნებამ“ უგულავას „სიტი პარკის“ პარპაში



C.T.PARK

## მხოლოდ 5 სამინისტრო საწვავში 20 მილიონს ხარჯავს



## რატომ არ გადაჰყავს ღარიბაშვილს ავტოპარკი გაზზე ეკონომიისათვის?



## თუკი შს მინისტრი ჭიკაიძე ფარულად არ გვისმენს, რატომ არ ცვლის ძველ სისტემას?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია

საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს: „2014 წლის 6 მარტს, დაახლოებით 12:20 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებული „მი-8“ ტიპის რუსული სამხედრო ვერტმფრენი შემოიჭრა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში და გადაუფრინა გორისა და კასპის რაიონების სოფლებს... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებსა და პოლიციის შენობებს. დაახლოებით 18:22 საათზე, ოკუპირებული აფხაზეთში რუსული უპილოტო საფრენი აპარატი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მიმართულებიდან შემოიჭრა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში და გადაუფრინა ზუგდიდის რაიონში განლაგებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოხატავს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის მორიგი ფაქტის გამო და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებაზე, რათა აღკვეთილი იქნას რუსეთის მხრიდან პროვოკაციული ქმედებები და ვითარების დაძაბვის მცდელობები“, – ნათქვამია განცხადებაში. (ჟი-ეიჩ-ენი)

## „მე რადიკალებთან დიალოგი დავასრულე“



ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს: „მე მაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ამ ადამიანებთან მიმართებაში, ვგულისხმობ ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციას – „ნაციონალებს“. მე ამ რადიკალებთან დიალოგი დავასრულე. მე არ ვაპირებ მათთან საუბარს, რადგან ეს ადამიანები, მათი ხელისუფლება და მათი რეჟიმი მხილებულნი არიან ისეთ მძიმე დანაშაულებში, როგორიც არის ადამიანების მკვლელობა, გატაცება, წამება, გაუპატიურება, ბიზნესის წართმევა და ა.შ.“ – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ბიუჯეტის არდამტკიცება შიხიაშვილის შეცდომა იყო



თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის განცხადებით, თბილისის მერიის ძალისხმევა, დამტკიცებულიყო თბილისის ბიუჯეტი, იყო სწორი პოზიცია. „ჩვენთვის მართალია 3 თვის დაგვიანებით გაცხადდა მათი პოზიცია, თუმცა ჩვენ მაინც მივესალმებით, რომ გამოთქვეს მზადყოფნა, განიხილონ ბიუჯეტი და მხარი დაუჭირონ მის დამტკიცებას. მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ყველა შესაბამის კონსულტაციაში და აქტიურად ჩავერთოთ სამუშაო პროცესში იმისთვის, რომ ბიუჯეტი დროულად იყოს დამტკიცებული", – აღნიშნა ირაკლი აბესაძემ. მისივე თქმით, საკრებულოს თავმჯდომარემ, ფაქტობრივად, დაამტკიცა და განცხადა, რომ მათი პოლიტიკური განცხადება და ახირება, რომ არ დაემტკიცებინათ თბილისის ბიუჯეტი, შეცვლილია და ისინი მზად არიან, ბიუჯეტი დაამტკიცონ.

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ყოველთვის ვიზიარებდით საკრებულოს შენიშვნებს, ვეთანხმებოდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ მიგვაჩნდა სწორად, იმისთვის, რომ არ მიგვეცა მათთვის საბაბი და საშუალება, გაემართლებინათ თავიანთი პოლიტიკური ახირება. ეს იყო საკრებულოს უმრავლესობა, რომელსაც მიზეზები არ ელეოდა, რომ არ დაემტკიცებინა თბილისის ბიუჯეტი. მათი ამ პოზიციის შეცვლის რამდენიმე ფაქტორი არსებობს, იმედი მაქვს, მათ აქვთ თბილისელების პრობლემების გადაწყვეტის სურვილი, იმიტომ, რომ თბილისელებს უამრავი პრობლემა შეექმნათ ბიუჯეტის არდამტკიცების გამო და ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლება მიხვდა, რომ არ ღირს პოლიტიკური ბრძოლების გამო ადამიანების დასჯა. მეორე, ალბათ, ეს იყო მათი სურვილი, არ დაემალათ თბილისის თვითმმართველობა და არ გაეუქმებინათ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. ამ ყველაფერში დიდი წვლილი შეიტანა, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობამ. საბოლოო ჯამში, შედეგი მივიღეთ ის, რომ ხელისუფლებამ და პირველ რიგში, „ქართული ოცნების" უმრავლესობამ აღიარა ის, რომ 3 თვის განმავლობაში ისინი ტყუოდნენ, როდესაც ეჭირათ ასეთი პოზიცია", – განაცხადა აბესაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## იაცენიუკმა რუსეთს მოლაპარაკებებისკენ ბრიუსელიდან მოუწოდა



უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი რუსეთის ხელისუფლებას უკრაინაში არსებული ვითარების მშვიდობიანად დასარეგულირებლად მოლაპარაკებების დაწყებისკენ ბრიუსელიდან მოუწოდებს.

„ჩვენ ვითხოვთ და მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, დააბრუნონ სამხედროები ყაზარმებში, მხარი არ დაუჭირონ ყირიმის არალეგიტიმურ ხელისუფლებას და დაიწყონ მოლაპარაკება ვითარების მშვიდობიანად დასარეგულირებლად", – განაცხადა იაცენიუკმა. მისი თქმით, ყირიმი იყო, არის და იქნება უკრაინის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ე.წ. რეფერენდუმს არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. (ინტერპრესნიუსი)

## რა წერია საკრებულოს მიერ მომზადებულ თბილისის ბიუჯეტის პროექტში, რომელსაც არ ამხელენ?

**თბილისის მერიამ საკრებულოში შეიტანა ოთხი ბიუჯეტი და უმრავლესობამ ოთხივე დაიწუნა. მათი განცხადებით, საკრებულო ყოველთვის იჩენდა პრინციპულობას და იყო შეუვალი იმ საკითხში, რომ ქალაქს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი ბიუჯეტი, რომელიც არ იქნებოდა თბილისელების ინტერესზე ორიენტირებული. ამის შემდეგ თბილისის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვერსია შეიმუშავა, რომელიც დედაქალაქის მერიას რეგულაციებს უწესებს. საკრებულოს მორიგი სხდომა 7 მარტს არის ჩანიშნული, თუმცა, როგორც შიხიაშვილმა აღნიშნა, საკრებულოს შეუძლია, სხდომა 11 მარტისთვის გადაწიოს.**

**საინტერესოა, როგორია „თბილისელების ინტერესზე ორიენტირებული" ბიუჯეტი?**

**როცა უმრავლესობა უწუნებდა ქალაქის მთავრობას გაუმჭვირვალე მუხლებს, ამ ახალ ბიუჯეტში კი ყველაფერი გამჭვირვალეა?**

**„ალია" დეტალების გასარკვევად დაუკავშირდა უმრავლესობის წარმომადგენელს საკრებულოში, ზაზა გაბუნიას, რომელიც მიმდინარე სხდომას მოვწყვიტეთ:**



– მალე ისევ უნდა შევბრუნდე დარბაზში და, ამიტომ, ბოდიშს გიხდით და მოკლედ გეტყვით ყველაფერს. პირველ რიგში, ჩვენეულ ვარიანტში განსხვავებებს ნამდვილად ნახავთ. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ და ავსახეთ პროექტში ყველა ის პრიორიტეტი, რაც, წესით, ბიუჯეტში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება კორუფციის გამორიცხვას, თქვენ იცით, რომ ჩვენ სულ ვამბობდით, რომ აუცილებელია, საკრებულომ განახორციელოს ხარჯვითი პროცესიც, რადგანაც „ნაციონალური" პარტია და მერია ამ მილიონებს რომ მოიგდებდნენ ხელში და დაიგულებდნენ, მათ შეეძლოთ, ორი დღის ვადაში ძალიან ადვილად ამ თანხიდან 200-300 მილიონი ლარი სასწრაფოდ დააკონტრაქტებინათ და ახალ მერს, როცა არჩევნების შემდეგ მივიდოდა და ორგანიზაციაა მერიასთან დაკავშირებული და, მათ შორის, ყოფილ მერთან, მათთან დაიდებოდა შეთანხმება და გარკვეული სამუშაოების სანაცვლოდ მოხდებოდა ამ თანხების ათვისება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფული ბიუჯეტში ძალიან მნიშვნელოვნად, ფაქტობრივად, არ დარჩებოდა, აი, ეს იყო მათი გათვლა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ რეგულაციების შეტანა იმ ნაწილში და იმ სახით, რომ ყველა მნიშვნელოვანი თემა და თქვენ იცით, რომ ყველა თემა შედგება პროექტებისგან, მთლიანად ეს პროექტები შეთანხმებული ყოფილიყო მერიაში, საკმაოდ დიდი რესურსი ფულადი სახსრისა უკვე გამქრალი, ანუ დახარჯული დახვდებოდა. ანუ, მას ფულის მკვეთრი დეფიციტის პირობებში მოუწევდა მუშაობა.

**— რა კარგი დაკონტრაქტება სცოდნიათ მაგ დალოცვილებს...**

– კი, აბა, ორ-სამ დღეში ასე სწრაფად მაგ ფულს ვერ დახარჯავდნენ და დააკონტრაქტებდნენ.

**— ეგ როგორ მოხდებოდა, კონკრეტულად სად წავიდოდა ეგ თანხა?**

– წინასწარ შეუთანხმდებოდნენ თავის ახლობელ ორგანიზაციებს და კომპანიებს, და უნდა გითხრათ, რომ ასეთი საკმაოდ ბევრი კომპანია თბილისის საკრებულოსთან და თბილისის საკრებულოს მიერ შესწავლისა და თანხმობის შემთხვევაში, მოხდება ამ პროექტების დაფინანსება.

ჩვენ ამ გადაწყვეტილებით არ ვერევით მერიის აღმასრულებელ საქმეებში, უბრალოდ, ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველა ეს საკითხი ჩვენთან იქნას შეთანხმებული. რადგანაც აქამდე ბიუჯეტში გვხვდებოდა ისეთი საკითხები, რომელიც არ არის პირველხარისხოვანი, რომელმაც შეიძლება მოიცადოს ერთი კვირა, მაგრამ არის საკითხები, რომელიც არ მოიცდის, სასწრაფოდ არის გასაკეთებელი და იქ უნდა დახარჯოს ეს თანხები. ამას მოვითხოვთ სწორედ. ამასთან ერთად, მათ წარმოდგენილ ბიუჯეტში ძალიან ბევრი მუხლი იყო, ჩვენი აზრით, ხელოვნურად გაბერილი, სადაც ნამდვილად არაა საჭირო იმდენი ფულის დახარჯვა. ამიტომ საჭირო იყო ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით ამის მეტად გამჭვირვალედ წარმოჩენა. ამ რეგულაციებს ვთავაზობთ მერიას და ბიუჯეტის იმდაგვარად გაწერას, სადაც ჩვენი მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული.

**— დავიჯეროთ, თქვენ მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში პატარა ხვრელებიც არ დარჩა და ყველაფერი ასე გამჭვირვალე იქნება?**

– მხოლოდ მუხლებს რომ ჩახედავთ, ეს არ არის მთავარი გარანტი გამჭვირვალობის. ჩვენ დავაკვირდებით არა მარტო პროექტს, არამედ იმ თანხებს, რაც მასზე დაიხარჯება, ამაზე ვაპირებთ აქცენტის გაკეთებას. გვეცოდინება, რაზე და რამდენი ფული წავა. ანუ, გვეცოდინება თანხის რაოდენობა და თავად თანხის დახარჯვის პროცესი იქნება გამჭვირვალე. მაგალითად, თუ თქვენ, თამარ ოქრუაშვილს, ექნება ქალაქის პერიფერიაში დიდი ქუჩის სარესტავრაციო სამუშაოები ჩასატარებელი, სადაც ათეულობით მილიონობით ლარი უნდა დაიხარჯოს, გექნებათ საშუალება, საკრებულოს სხდომაზე მოუსმინოთ მერიის წარმომადგენელს, თუ სად, რამდენი ლარი და რომელი კომპანიის მიერ იქნება ეს დახარჯული. ეს არის ჩვენი შეთავაზება და ეს აქამდე არ იყო ასე. ამას მოვახერხებთ სწორედ ამ რეგულაციების დახმარებით. ჩვენ ამ თამაშის წესს ვგულისხმობთ, ამ შეთანხმებას და თუ ამაზე დაგვეთანხმდებიან, მაშინ ბიუჯეტს ერთხმად მივიღებთ, ამაზე მიდის ახლა მოლაპარაკება.

**— წამოვა მერე მერიის მხარე ამ შეთანხმებაზე? რას ატყობთ?**

– ამ წუთებში მაგაზე მიდის დიდი ბჭობა საკრებულოში და მაგრად წუწუნებენ. თუმცა, ეს დიალოგია, მაგრამ დიდად არ უხარიათ ამის მოსმენა. თუმცა, მთავარი მათი განწყობა არ არის, მთავარია, საქმე გადაწყდეს.

**— ვინ წუწუნებს, უგრეხელიძე სევდია?**

– არა, სევდია უგრეხელიძე არ ესწრება სხდომას, დეტალებს ნუ მომთხოვთ, არ გეტყვით (ეცინება). სევდია არ ესწრება, მაგრამ ის, ვინც არის, მოახსენებს ამ ყველაფერს მერის მოვალეობის შემსრულებელს. ვნახოთ, რა გამოვა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნა



საქართველოს მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნა.

„პრემიერის უფლებამოსილებების გაფართოებასთან ერთად საჭირო გახდა ისეთი რგოლის არსებობა, რომელიც უშუალოდ გაუწევდა კოორდინაციას ნებისმიერი ტიპის სამთავრობო გეგმებს და შემდეგ სამთავრობო გეგმებისა და პროექტების შესრულებაზე მონიტორინგს უზრუნველყოფდა. ჩვენ გადავდივართ ევროპული სტილის მოწყობაზე. ადმინისტრაციაში გავაკეთეთ პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ გააერთიანებს ყველა სამთავრობო უწყების როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმებს. უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით, მათთან მუშაობის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქვეყნის განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განვახორციელებთ მონიტორინგს სამინისტროების მუშაობის პროცესზე. ასევე, ვაყალიბებთ ინოვაციების სამმართველოს, რომელიც მიზნად ისახავს პრემიერის ნებისმიერი ტიპის ინიციატივის შესრულებაზე ზედამხედველობას და პროექტის წამოწევას. გაერთიანდა და დაიყო საზოგადოებასთან კომუნიკაციის დეპარტამენტი და უფრო ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებასთან მთავრობის კომუნიკაცია. დეპარტამენტი კოორდინაციას გაუწევს სამთავრობო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების საქმიანობას, რაც ხელს შეუწყობს სამთავრობო გადაწყვეტილებების დროულად აღსრულებას, ეფექტური იქნება გუნდური მუშაობისთვის, ასევე ასეთი ტიპის ადმინისტრაციული მოწყობა პრემიერ-მინისტრს ქვეყნის მიზნებიდან გამომდინარე ოპერატიულ მართვაში დაეხმარება", – აღნიშნა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## წიწამურში ილიას ძეგლს რეაბილიტაცია ჩაუტარდება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე 12 საკითხი განიხილა და 12-ვე დამტკიცდა. მინისტრ დავით ნარმანიას განცხადებით, დამტკიცებული პროექტებიდან განსაკუთრებით გამოყოფს წიწამურში, ილიას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტს. მისი თქმით, კულტურული, ასევე ინფრასტრუქტურული, ტურისტული თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. გარდა ამისა, სხდომაზე დამტკიცდა კონფლიქტისპირა სოფლის გზის გაკეთების პროექტი, კერძოდ ეს არის წალენჯიხა-მუჟავა-ფახულანის გზა საზერიომდე.

„ასევე, დავამტკიცეთ მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თბილისში გაკეთდეს მიუსაფართა თანამედროვე თავშესაფარი. პირველ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები იქნება შესყიდული და ძალიან სწრაფად დასრულდება ეს პროექტი. ძირითადი მონახაზი უკვე გაკეთებულია", – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, დანარჩენი პროექტები ძირითადად შეეხებოდა საგზაო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინის მოვლენები საქართველოს ევროპულ პერსპექტივას ბიძგს მისცემს?



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ყოფილი ევროკომისრის გიუნტერ ფერჰოიგენის განცხადებით, უკრაინაში შექმნილი ვითარება საქართველოსა და მოლდოვას ევროპული პერსპექტივისთვის შესაძლოა ახალი ბიძგის მიმცემი გახდეს.

„შექმნილი სიტუაცია მოლდოვასა და საქართველოსთვის საინტერესოა, ვინაიდან ევროკავშირს არ შეუძლია დაკარგოს ეს ორი ქვეყანაც, თუ უკრაინა დაკარგა. ეს ვითარება არის ფიქრის საფუძველი, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს მომენტი, რათა გადაწყვეტილებების მიღება გახდეს უფრო ეფექტური", – განაცხადა ფერჰოიგენმა.

მისივე თქმით, ევროკავშირს შეუძლია შესთავაზოს საქართველოს უვიზო მიმოსვლის დაჩქარება ან გააკეთოს ღია განცხადება, იმის თაობაზე, რომ საქართველოს არა მარტო შეუძლია, არამედ გახდება ევროკავშირის წევრი. (ინტერპრესნიუსი)

## ყოფილი პოლიტპატიმარი იარაღის ტარების ბრალდებით დააკავეს

პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული ივა ჩიღვინაძე 6 მარტს დააკავეს. შსს-ის ინფორმაციით, ივა ჩიღვინაძე დაკავებულია იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით. მას იარაღი ჰქონდა გაფორმებული, თუმცა ტარების უფლება არ აქვს.

ივა ჩიღვინაძე, რომელიც „დემოკრატიული მოძრაობის" წევრი იყო, 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, ვაკეში, ჩეხეთის საელჩოსთან რამდენიმე პირთან ერთად დააკავეს.

მას ბრალად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა წაუყენეს, რის გამოც სასჯელს გლდანის №8 დაწესებულებაში იხდიდა.

ივა ჩიღვინაძემ საპატიმრო 2012 წელს, ამნისტიის შედეგად დატოვა. (ინტერპრესნიუსი)

# რუსეთი ყირიმს იერთებს, გაიფორმებს თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალსაც?



პუტინი უკან დახევას არ აპირებს, ის უკვე გამომწვევად იქცევა. უკრაინის პარალელურად პირველი სამიზნე საქართველოა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი ადასტურებს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს რუსეთის მხრიდან. გუშინ, დღის პირველ ნახევარში რუსული სამხედრო ვერტმფრენი გორის რაიონის სოფელ არბოში ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოვიდა. საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს კიდევ რამდენიმე სოფელში ჰქონდა ადგილი. ცხადია, ეს არ არის კარგის ნიშანი.

ვლადიმერ პუტინმა 6 მარტს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა ჩაატარა. მთავარი თემა ყირიმის ავტონომიის რუსეთის ფედერაციასთან მიერთების საკითხი იყო. ამ სხდომამდე ცოტა ხნით ადრე, ყირიმის პარლამენტმა რუსეთის ფედერაციას ავტონომიის პირდაპირი წესით მიერთების გადაწყვეტილება მიიღო და თხოვნითაც მიმართა რუსეთს. ცნობილი რუსი ჟურნალისტი ვენედიქტოვი შემაშფოთებელ განცხადებას აკეთებს, – აფხაზეთსა და ცხინვალში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და ისინიც უნდა მიუერთდნენ რუსეთის ფედერაციასო.

**კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი „ალიასთან" ინტერვიუში ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე საუბრობს და აცხადებს:**

– რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ყირიმში ყველა სტრატეგიული სიმაღლე აიღო, მსოფლიოს აჩვენა, რომ სიტუაციას ის აკონტროლებს და ის მოემზადა დასავლეთთან სავაჭროდ. სავაჭრო კი მას ძალიან ბევრი აქვს. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ შეინარჩუნოს შავ ზღვაში გასასვლელი და აკონტროლოს შავი ზღვის აკვატორია. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთი თვლის, რომ უკრაინას ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს. ისინი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ უკრაინული არმია არ შეუტევდა რუსეთს.

**— ნერვების ფრონტში ჩვენ ვხედავთ, რომ პუტინი მსოფლიოს იგნორს უკეთებს და პირდაპირ მიმართულია, პროვოკაციაზე წამოიკიდოს უკრაინა. ყირიმში, ჩეჩნური ბატალიონი „ვოსტოკი" შეიყვანა, რომელიც 2008 წელს იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ, ანუ საბრძოლო გამოცდილება აქვს.**

– პუტინი ყველაფერს აკეთებს, რომ ომში ჩართოს უკრაინა, ამიტომ გადაისროლა ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფი ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან. პუტინი ვარაუდობს, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს, მაგრამ ეს იქნება ბრძოლა, საიდანაც გამარჯვებული ვერც ერთი მხარე ვერ გამოვა. რაც შეეხება ბატალიონ „ვოსტოკს", მოგეხსენებათ, რომ ჩეჩნეთის მთავარ მეთაურს რამზან კადიროვს, თავისი ქვედანაყოფები ჰყავს, რომლებიც ოფიციალურად ირიცხებიან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში. კონკრეტულად „ვოსტოკი" არის დაქირავებული, რომელსაც ხელფასს უხდის კადიროვი და არა, რუსეთის ცენტრალური ფედერალური სამხედრო ოლქი. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ უკრაინაში პროცესები მალე არ დაწყნარდება.

**— ინტერნეტში ვრცელდება სკანდალური სატელეფონო აუდიოჩანაწერი კეტრინ ეშტონსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. ამ საუბრიდან დასტურდება, რომ მაიდანზე განლაგებულ სნაიპერებსა და ოპოზიციას შორის შეთანხმება არსებობდა და ისინი უნისონში მოქმედებდნენ. გამოდის, უკრაინელი ხალხი ოპოზიციის ლიდერებმა ჩაახოცვინეს?**

– ეს არის შოკისმომგვრელი სკანდალი, ევროპელ დიპლომატებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ოპოზიციის რომელიღაც დაჯგუფებიდან

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საჯარო რეესტრის თანამშრომელი ფაქტზე დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, ნოდარ გოგოლაძე დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ გოგოლაძემ, როდესაც ის მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივირების სექტორის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე და ასევე, ასრულებდა რეგისტრატორის მოვალეობას, 2011-2013 წლებში, გაყალბებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, გამორჩენის მიღების მიზნით, მოქალაქეებს მიხეილ ხუციშვილს, ანა შერმადინსა და გიორგი ხუციშვილს, საკუთრებაში დაურეგისტრირა დუშეთის რაიონში მდებარე ვითომდა მიწის რეფორმით მიღებული, საერთო ჯამში, 5 124 კვ.მ ფართობის მქონე, 121 100 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება.

აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ნოდარ გოგოლაძის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, სახელმწიფოს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით. (ინტერპრესნიუსი)

## ევროკავშირმა ვიქტორ იანუკოვიჩის ანგარიშები გაყინა



ევროკავშირმა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩისა და 18 ყოფილი მაღალჩინოსნის ანგარიშები გაყინა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 5 მარტს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სხვადასხვა პირების აქტივებისა და ეკონომიკური რესურსების გაყინვას ითვალისწინებს იმ მიზეზით, რომ ისინი უკრაინაში კანონდარღვევაში არიან შემჩნეული.

ვიქტორ იანუკოვიჩის გარდა, ვისი ანგარიშებიც ევროკავშირმა გაყინა, არიან ექსპრეზიდენტის შვილები – ალექსანდრე და ვიქტორ იანუკოვიჩები, უკრაინის ყოფილი შს მინისტრი ვიტალი ზახარჩენკო, ყოფილი გენპროკურორი ვიქტორ პშონკა და მისი შვილი, დეპუტატი არტემ პშონკა, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ელენა ლუკაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ანდრეი კლიუევი და მისი ძმა, დეპუტატი სერგეი კლიუევი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი და მისი შვილი, „რეგიონების პარტიის" წევრი ალექსეი აზაროვი, ბიზნესმენი სერგეი კურჩენკო და სხვა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სია შესაძლოა, ვითარების მიხედვით შეიცვალოს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა სხდომა გამართა



პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საბჭომ 2013 წელს ჩატარებული საქმიანობის ანგარიში განიხილა და კომპაქტის ძალაში შესვლისთვის გაწეულ სამუშაოებს გაეცნო. ასევე, იმსჯელეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების, ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამების დანერგვისთვის პარტნიორი უნივერსიტეტების შერჩევის მიზნით განხორციელებულ საერთაშორისო ტენდერის შედეგებზე. ტენდერის მიზანია აშშ-სა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისგან შემდგარი კონსორციუმის გამოვლენა, რომელიც საქართველოში განახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროექტის განხორციელების შედეგად, კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო სპეციალობებში, ტექნოლოგიებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ საქართველოს 140 მილიონი დოლარი გამოუყო.

კომპაქტით საქართველოში იგეგმება ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელება. უმაღლესი განათლების პროექტის განხორციელებისთვის მეორე კომპაქტის ფარგლებში დაგეგმილია 30 მილიონი აშშ დოლარის გრანტის გაცემა. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

იყვნენ სნაიპერები, რომლებიც ხალხს ხოცავდნენ. როგორც ჩანს, ძალიან სერიოზულად აიმღვრევა წყალი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ რევოლუციასაც, ისევე როგორც „ვარდების რევოლუციას“ სოროსისნაირი ფსევდო ფილანტროპები აფინანსებდნენ, მიზანი იყო, რომ არეულობის ფონი შეექმნათ მარტო იმიტომ, რომ მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყოს და ყველა არ დაზარალდეს.

**— ასევე, ვრცელდება პუტინისა და რუსი** დაადგება კარგი დღე.

**— პრემიერთან არსებული უსაფრთხოების საბჭოს დახურულ სხდომაზე იყო განხილული თემები, თუ უკრაინაში დაიწყებოდა ომი, რა მოხდება საქართველოში და ჩრდილოეთ კავკასიაში. თუკი ომი დაიწყო, საქართველო რა გამოწვევის წინაშე დადგება?**

– თუკი ეს მოხდა, საქართველოში გაჩნდებიან ლტოლვილები, ასევე გაჩნდება გაურკვეველი ეთნიკური წარმომავლობის შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე გამოჩნდებიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარ-

**— ხომ არ გახდება პუტინისთვის აგრესიის დაწყების მიზეზი სააკაშვილის უკრაინაში აქტიურობა?**

– სხვათა შორის, მაიდანზე სააკაშვილი უკრაინელებს თავს წარუდგენს ხოლმე, როგორც საქართველოს პრეზიდენტს. გამოქვეყნდა მიმოწერა, სადაც მაიდანის მონაწილე ქართველს ეკითხება, რომ თქვენი პრეზიდენტი მარგველაშვილია და სააკაშვილი თავს რატომ აცხადებს პრეზიდენტადო?.. სააკაშვილის უკრაინაში ჩაყვანა კონკრეტული ჯგუფის ინტერესი იყო, მე ვფიქრობ, რომ უფრო იულია

**დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე.**

– რუსები თვლიან, რომ ეს არის მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია, მათ აქვთ უფლება, საჰაერო შემოვლა მოაწყონ, ამას ჰქვია დაზვერვა ბრძოლის გარეშე. ისინი ოკუპირებული ტერიტორიების გარშემო ზვერავენ, ხომ არ შეიმჩნევა სამხედრო გადაადგილება.

**— დაბოლოს, თუკი ყირიმს მიიერთებს რუსეთი, ეს პროცესი საქართველოსთან მიმართებაში როგორ აისახება? ჩვენ ვნახეთ რუსი ჟურნალისტის განცხადება, რომ ყირიმის შემდეგ რუსეთმა სამაჩაბლო და აფხაზეთიც უნდა მიიერთოსო.**

# რუსეთი ყირიმს იერთებს, შეიერთებს თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალსაც?




**გენერლის აუდიოჩანაწერი, სადაც აღშფოთებული პუტინი კითხვას სვამს, კი მაგრამ, როგორ ვერ წამოაგეთ უკრაინელები პროვოკაციაზე, რომ პირველებმა მათ გაისროლონ.**

– მედვედევმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ დააანონსა, როგორ აპირებენ მოქმედებას, მან პარალელი გაავლო 2008 წლის აგვისტოს ომთან. რუსეთი უკრაინის საშუალებით ეჭიდავება დასავლეთს, ოღონდ ჩვენთვის გაუგებარია, რომელ კონკრეტულ ჯგუფს ებრძვის ეს ადამიანი. თუკი ვინმე მართლმადიდებელია დედამიწის ზურგზე, რუსეთმა ყველას დაჩაგვრა მოინდომა, თუ უკრაინაში ომი დაიწყო, არეულობები დაიწყება ჩრდილოკავკასიაში და თათარისტანში. ისინი აპირებენ თავისი ტერიტორიებიდან განდევნონ რუსული შეიარაღებული დაჯგუფებები. თუკი რუსეთი უკრაინის ომში ჩაერთო, რამდენიმე საათში ისე გაუძვირდება ცხოვრება, ორ-სამ დღეში ტოტალური შიმშილი დაიწყება რუსეთში. ომი მარტო ბირთვული იარაღი და კუნთების თამაში არ არის, რუსეთი, რომლის ეკონომიკის 75% იმპორტზეა, სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდება. ასე რომ, არც რუსეთს

მომადგენლები, რომლებიც პრორუსული ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსებს მიემხრობიან. საომარი მოქმედებების საფრთხეს ჩვენ საქართველოში ვერ ვხედავთ ერთი მარტივი მიზეზის გამო, – რუსეთს საქართველოდან რაც უნდოდა, ის უკვე წაიღო და შემოღობა კიდეც, თუ რუსეთი გადაირია და ერთ დღეში მოინდომა საბჭოთა კავშირის აღდგენა, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ხერხემალში გადატყდება. რუსეთის მიზანია ევროკავშირის ხელშეკრულების ხელმოწერამდე შიდა დაძაბულობები გამოიწვიოს.

ტიმოშენკოს ინტერესია. მისი ასეთი სატელევიზიო აქტიურობაც შემთხვევითი არ არის, მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები ხომ ხედავთ, რომ მას იწვევენ. კონკრეტული ძალა სააკაშვილს ამზადებს მომავალში საქართველოსთვის, თუმცა ამ ადამიანებს მინდა მივმართო, რომ მკვდარშობილია მათი გეგმა, სააკაშვილის გამოჩენას უკრაინაში საშინელი აგრესია და ანტიპათია მოჰყვა. პირდაპირ აცხადებდნენ უკრაინელები, რომ სააკაშვილი რუსებმა შემოაგზავნეს, სააკაშვილი საფრთხეს მოგვიტანს. საინტერესოა ის, რომ უკრაინაში მარტო არ ჩასულა, მას ახლავს თავისი ბიძა თემურ ალასანია, „ვარდების რევოლუციის“ სცენარი ჩვენ უკვე გავიარეთ, ამის შემდეგ როგორ გადანაწილდა ეკონომიკა, როგორ დაიქსაქსა ტერიტორიები და რა საგარეო კურსი ავიღეთ, რომელიც აქამდე გაუგებარი იყო. თუ ეს ბედი უნდა ეწიოს უკრაინას, გულწრფელად თანავუგრძნობ მათ. მიხეილ სააკაშვილი და იულია ტიმოშენკო – ეს არ არის დასავლური ძალა, ისინი პუტინის თამაშს თამაშობენ დასავლური ძალის ნიღბით.

**— როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ რუსეთმა**

– როგორც გითხარით, ყირიმი რუსეთს სჭირდება დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის, თუ იმას ვერ მიიღებს, რაც მას უნდა, ვითარებას მეტად დაძაბავს. შეეცდება, ყირიმი ოფიციალურად გაიფორმოს, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ სერიოზულ პრობლემებს წააწყდება, ამ გადაწყვეტილების გამო. თუკი რუსეთი ყირიმს ოფიციალურად მიიერთებს, რაშიც ჩვენ ძალიან გვეპარება ეჭვი, ის უფრო ცნობს ყირიმის დამოუკიდებლობას, ვიდრე რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანს, ისევე გაამზადებს მას, პოლიტიკურ ნახევარფაბრიკატს, როგორიც არის აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი. აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის მიერთების საკითხი, ვერ გეტყვით, რომ დღეს და ხვალ შეიძლება იყოს აქტუალური. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას მხოლოდ ცხინვალი და აფხაზეთი არ აკმაყოფილებს, ყირიმისგან განსხვავებით, მის ინტერესში შედის სრულიად საქართველო, ამიტომ ცხინვალი და აფხაზეთი შეევაჭრება გავლენების დაბრუნების სანაცვლოდ. თუ უარს მიიღებს, ბუნებრივია, ის ეცდება ამ ნაბიჯის გადადგმას, დაიჭერს რეფერენდუმის შედეგებს ხელში და ამ შედეგებით ივაჭრებს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიუჯეტში 1 მილიარდ 188,8 მილიონი ლარია მობილიზებული




ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიარდ 188,8 მილიონი ლარია მობილიზებული, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 233 მილიონი ლარით მეტია. მისი განმარტებით, პირველ ორ თვეში მობილიზებული თანხები პირველი კვარტალის გეგმის 56,6 ხოლო წლიური გეგმის 13,1 პროცენტია.

„ეს აბსოლუტურად ჯდება წლის განმავლობაში ეკონომიკური აქტივობის გადანაწილების პარამეტრებში. 2013 წელთან შედარებით დაახლოებით 110 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების სახით. პირველ ორ თვეში საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 954 მილიონი ლარი შეადგინა. ეს არის წლიური გეგმის 14 პროცენტი. ეს შარშანდელთან შედარებით 100 მილიონით არის გადაჭარბებული და 40 მილიონი ლარით მეტია, ვიდრე წლევანდელი გეგმა პირველი ორი თვისთვის“, – განაცხადა ხადურმა.

„დაახლოებით 35 მილიონით არის გაზრდილი თებერვლის შემოსავლები, შარშანდელ თებერვალთან შედარებით. ასევე, გაზრდილია სახაზინო ვალდებულებების შესრულება და ჩვენ უკვე დავიწყეთ ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამა ბანკებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, დაახლოებით 88 მილიონი ლარია გამოშვებული. იანვარ-თებერვალში ეს იყო 44 მილიონი ლარი. პირველ ორ თვეში გაწეული ხარჯი შეადგენს მილიარდ 145 მილიონ ლარს, რაც გასული წლის მაჩვენებელს 154 მილიონი ლარით აღემატება. გასულ წელთან შედარებით ყველაზე მეტი მოცულობით გაზრდილია სოციალური ხარჯები, რაც გამოწვეულია იმით, რომ წელი გაზრდილი პენსიებითა და გაზრდილი სოციალური ვალდებულებებით დავიწყეთ. გარდა ამისა, დაწყებულია დაღუპული მეომრების ოჯახებისთვის 500-ლარიანი დახმარების გაცემა და ეს ყველაფერი აისახა ბიუჯეტის ხარჯებზე. გაზრდილია სხვა მიმართულებებიც“, – განმარტა მინისტრმა.

ნოდარ ხადურის ინფორმაციით, კაპიტალურ ხარჯებში არის ოდნავი შეფერხება, „რაც გამოწვეულია ამინდით, თუმცა შარშანდელთან შედარებით ეს მიმართულებაც გაზრდილია“. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტის სტიპენდიას სახელმწიფო სტიპენდია დაერქმევა



სტუდენტებისთვის პრეზიდენტის სტიპენდიას სახელმწიფო სტიპენდია დაერქმევა. განათლების სამინისტროს განმარტებით:

„გიორგი მარგველაშვილმა, განათლების მინისტრობის პერიოდში, სტუდენტური სტიპენდიების პროგრამის მასშტაბები გაზარდა. პროგრამა 2012 წლის ბოლოს გადაიხედა და 2013 წლისთვის გაორმაგებული ბიუჯეტითა და განახლებული სახელწოდებით ამუშავდა. დღეისთვის პროგრამა ორჯერ მეტ სტუდენტს ეხება. ამავე პერიოდშივე მოხდა სხვა პროგრამების შინაარსის, ბიუჯეტისა და სახელწოდებების გადახედვაც, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ამ პროგრამების მაქსიმალური ეფექტურობა. აგრეთვე, დავიწყეთ სრულიად ახალი პროგრამები, რომლის პირდაპირი ბენეფიციარებიც ჩვენი სტუდენტები არიან (ზაფხულისა და ზამთრის სკოლები, დოქტორანტების დაფინანსება, სამაგისტრო სამეცნიერო პროგრამები, ბიბლიოთეკების განახლების პროგრამები და სხვა.) რაც შეეხება 2007 წლის პრეზიდენტის განკარგულებით განხორციელებულ პროგრამას, მას დაერქვა პრეზიდენტის სტიპენდია და ამისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო დაფინანსება. 2008 წლიდან სარეზერვო ფონდიდან სტიპენდიების დაფინანსება შეწყდა. მომდევნო წლებში სტიპენდიები ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან). შესაბამისად, ეს გარემოება გავითვალისწინეთ და სტიპენდიების განახლებულ პროგრამას დაერქვა სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამა, რაც ადეკვატურია დაფინანსების წყაროდან გამომდინარე“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილმა ევროკავშირის ქვეყნების მეთაურებს მიმართა



საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურებს სპეციალური წერილით მიმართა.

„ბრიუსელში იკრიბება ევროკავშირის საბჭოს სპეციალური სხდომა ქვეყნების მეთაურების დონეზე. უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრემიერმა სპეციალური წერილით მიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურებს, რომ უკრაინის მხარდაჭერასთან ერთად, ასევე გათვალისწინებული იყოს და აუცილებელია დისკუსია საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ, რომელიც მზად არის და ნათლად აკეთებს დემონსტრირებას, გააღრმავოს და განავითაროს ევროპული რეფორმები. ასევე, მზად არის, არ გადაუხვიოს არავითარ შემთხვევაში ევროპულ არჩევანს. ამ პროცესში საქართველოს სჭირდება ძალიან სერიოზული მხარდაჭერა, სოლიდარობა და რასაკვირველია, ევროპული პერსპექტივა იქნებოდა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი“, – განაცხადა ბერუჩაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## განმარტება

„ალიას“ 5 მარტის ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ კეზერაშვილის ექსტრადიციის საქმეში ანგარების მიზნით ჩართული იყო ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი. როგორც ინკოგნიტო წყარო „ალიას“ ატყობინებს, სამწუხაროდ, მისი მიზეზით გაიპარა დასანანი შეცდომა, იუვალ ფუქსის ნაცვლად უნდა იყოს: „საფრანგეთის ელჩი საქართველოში, რენო სალენი“. გარდა ამისა, ტექსტში არაფერი იცვლება. წყარო ბოდიშს უხდის ისრაელის ელჩს და ამბობს, რომ ამ შემთხვევაში გაზეთი არაფერ შუაშია, ტექნიკური შეცდომა მისი მიზეზით მოხდა.

## ზვიად ძიძიგურის ბიუროს ოფისთან აქცია გაიმართა



მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად ძიძიგურის ბიუროს ოფისთან, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე მძღოლებმა, მათი ოჯახის წევრებმა და ე.წ. ხაზების მეპატრონეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, უკვე ორი კვირაა, რაც რუსთავის მერიის წინ საპროტესტო აქციებს მართავენ და რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე გამოცხადებული კონკურსის მინიმუმ სამი წლით გადადებას მოითხოვენ. აქციის მონაწილეებს ზვიად ძიძიგურის ბიუროს ხელმძღვანელი დავით მაღლაკელიძე შეხვდა და მათ მოთხოვნებს გაეცნო. მძღოლების განცხადებით, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს იმ იმედით მიაკითხეს, რომ ზვიად ძიძიგური აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ჩაერთვება და კონკურსი გონივრული ვადით გადაიწევს. ბიუროს ხელმძღვანელის განცხადებით, მძღოლების მოთხოვნებს ის პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს გადაუგზავნის. (ინტერპრესნიუსი)

ბოლო დღეებში საქართველოს მოქალაქეების პეტიცია გავრცელდა, რომ „ერისიონს“ სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და დაფინანსება მოეხსნას. საქმე ისაა, რომ 16 აპრილს კრემლში დაგეგმილია „ერისიონის“ კონცერტი, ბილეთები უკვე იყიდება. პეტიციას 1000-მდე ადამიანი აწერს ხელს. როგორც ავტორები ამბობენ, „ერისიონისთვის“ სახელმწიფო დაფინანსების გაუქმებას იმის გამო ითხოვენ, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს მოქალაქეებისთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებით შევსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ხმარდებოდეს „ერისიონის“ კრემლში გასტროლებს.



# „ერისიონი“ შეიძლება, მოსკოვში მაინც წავიდეს?

**„ალიასთან“ საუბარში „ერისიონის“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ ერთი წლის წინათ ხელმოწერილი კონცერტები მოხსნეს, მაგრამ ეს საბოლოო გადაწყვეტილება არაა, რადგან დაკისრებული კოლოსალური ჯარიმების გამო ჯერ კიდევ ფიქრობენ, როგორ მოიქცნენ.**

**— ბატონო ჯემალ, საზოგადოების დიდი ნაწილი „ერისიონზე“ სახელმწიფო დაფინანსების მოხსნას ითხოვს, იცნობთ ამ პეტიციას?**

– ერთს გეტყვით, რომ სანამ ვიღაცა ლაპარაკს დაიწყებდა, მანამდე მე დიდი ხნით ადრე მოვხსენი მოსკოვში კონცერტები. მაგაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ იცით, რა არის, საშინელ დღეში ვარ, რადგან უამრავი ჯარიმა გვაქვს გადასახდელი.

**— რა ჯარიმაზეა საუბარი და ვინ გადაიხდის ამ ყველაფერს?**

– ციფრებს ვერ გეტყვით ახლა, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ციფრებია. ჩვენ იმედი გვქონდა, გავიდოდა ეს საქმე „ფორსმაჟორში“, წელიწადის წინ გვაქვს ჩვენ ეს გადაწყვეტილება ხელმოწერილი, ახლა ღმერთმა ნუ ქნას, „ფორსმაჟორში“ გავიდეს, რადგან მაშინ ვიღაცა უნდა დაიღუპოს, ღმერთმა არ ქნას, სულ არ მინდა არაფერი მაშინ. სხვას ვერაფერს ვერ გეტყვით, ეს არის, რაც შემიძლია გითხრათ ამ დროისთვის.

**— 2008 წელს რომ წახვედით მოსკოვში, ამაზე ახლა რას ფიქრობთ?**

– არ ვიცი, შეიძლება შევცდი კიდეც, მაგრამ ასე გავაკეთეთ. ახლა არ ვიცით, რა დღეში ჩავვარდებით. მე უბრალოდ მინდოდა, გამემიჯნა პოლიტიკა და კულტურა ერთმანეთისგან. ამაზე ვსაუბრობ სულ.

**— შეიძლება მეორედ აღარ მიგიწვიონ. ამისთვის მზად ხართ?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება მასეც მოხდეს, მაგრამ რაღაც იმედი მაინც მაქვს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს გადადებაზე და ვნახოთ, რა იქნება. შემდგომში თუ მშვიდობა იქნება, რა თქმა უნდა, აღარ მოვხსნით. ერთი რაღაც მინდა გითხრათ, რომ არაფრით არ შეიძლება ჩვენ გადავსახლდეთ ან რუსეთი გადავასახლოთ სხვაგან. კარგია, თუ ცუდია, რუსეთი ჩვენი მეზობელია. კი, ცუდია, მაგრამ სხვა რა გამოსავალი გვაქვს? მე პუტინთან ხომ არ მივდივარ და დუმაში ხომ არ მივდივართ. ჩვენ კრემლის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მივდივართ, მსოფლიოში სამეულში შედი ეს დარბაზი.

**— რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ სახელმწიფო დაფინანსების მოხსნა მოითხოვეს იმ მიზეზით, რომ სახელმწიფო ანსამბლი კრემლში არ უნდა ცეკვავდეს?**

– მე არავითარი რეაქცია მაგაზე არ მქონდა, როცა რამეში დამნაშავე ხარ, რა თქმა უნდა, გექნება რეაქცია. რაც უნდა ის იფიქრონ, მე ვიცი, რომ არ ვარ ჩემი ქვეყნის მოღალატე. სადაც გამოვდიოდი თეატრში, იქ რუსეთის დროშა იყო აღმართული და ისიც კი ჩამოვახსნევინე. მე არა ვარ მშიშარა კაცი და არც მაგის მეშინია, მაშინ მეშინია პატარა ბავშვისაც კი, როდესაც დამნაშავე ვარ.

**— ბილეთების საკითხი როგორ არის, როგორც ვიცი, უკვე გაყიდვაში იყო?**

– ბილეთები თითქმის გაყიდული იყო, სწორედ ამაზეა ლაპარაკი. ძალიან მიჭირს ახლა, მეტი არ შეიძლება, თანაც ეს ამბავი არის ჰაერიდან მოტანილი და ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი. არაფერ შუაში არაა ეს საკითხი პოლიტიკასთან, ხალხებს შორის უნდა აღდგეს ურთიერთობა. ლენინგრადში რომ გამოდიან სხვა ანსამბლები 25 მარტს, ამაზე რატომ არ საუბრობენ? თუ ლენინგრადი რუსეთი არაა? რაღა მაინცდამაინც ჩვენზე ატყდა მთელი ამბავი?

**— წეღან არ მითხარით, ჯარიმაზე ვინაა პასუხისმგებელი?**

– კერძო კომპანიებთან გვექნება საქმე და ესაა ჯოჯოხეთი. მე ამ კომპანიებს ვერ დავასახელებ, მაგრამ იცით, რაშია პრობლემა? „უჩემოდ ვინ იმღერა“ ქართველებში კარგად ჭრის. საქართველო დაღუპეს და ახლა ჩვენ გვსვრიან უარესად.

**კულტურის მინისტრის მოადგილე, მანანა ბერიკაშვილმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ერისიონისთვის“ არანაირი სტატუსის მოხსნაზე საუბარი არაა, არც განიხილავს ამას სამინისტრო. არ მესმის, რატომ აგორდა ამაზე ეს კამპანია. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო „ერისიონმა“ სოლიდარობის მიზნით უარი განაცხადა რუსეთში ჩასვლაზე“. — განაცხადა მან.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

## მიკაილ კადიევს 2 წელი მიუსაჯეს



ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი მიკაილ კადიევისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებას უსამართლოდ და „უსინდისოდ“ აფასებს და გასაჩივრებას გეგმავს. ნიკოლაიშვილის განცხადებით:

„სანამ სასამართლო პროცედურები არ დასრულდება, არანაირი უფლება სახელმწიფოს არ გააჩნია, კადიევი რუსეთს გადასცეს. ამ მხრივ, კანონის მიხედვით დაცულები ვართ. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, მე გამამართლებელ განაჩენს ველოდი, თუმცა, სასამართლოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ვუშვებდი შესაძლებლობას, რომ ყოფილიყო გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მაინც გარკვეულ ჩარჩოებში. ორწლიანი სასჯელი არა უსამართლო, არამედ უსინდისო გადაწყვეტილებაა, რომელსაც გავასაჩივრებ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და თუკი საჭირო იქნება – ევროსასამართლოშიც“, – აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

მიკაელ კადიევსა და რიზმან ომაროვს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის მოსამართლე, ბადრი კოჭლამაზაშვილის გადაწყვეტილებით, 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ. (ინტერპრესნიუსი)

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საეჭვო ხორცი ამოიღო



სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა რამდენიმე ობიექტიდან საეჭვო წარმომავლობის ხორცი ამოიღეს. მოსკოვის გამზირზე ი/მ „თამაზ ტოკლიკიშვილის“, მეტრო „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე – ი/მ „გიზო აბდუშელიშვილისა“ და ი/მ „მამუკა ლაგვილავას“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტებიდან ამოღებულია 90 კგ-მდე ხორცი, რომლის არც ერთ ნაჭერს არ ჰქონდა დამღა, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქონელს არ ჩატარებია დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა. შესაბამისად, ბიზნესოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს ფორმა №2. ხორცი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ინდმეწარმეები 1000 ლარით დაჯარიმდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## ცეზარ ჩოჩელი: „იქნებ ცოტათი მაინც გვეზრუნა ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და კადრების კვალიფიკაციაზე“

ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი საქართველოში არსებულ დასაქმების პრობლემას სოციალურ ქსელ „ფეისბუკით“ ეხმაურება. მისი თქმით, ძალიან ბევრს ვსაუბრობთ ქვეყანაში დასაქმებასთან შექმნილ პრობლემებზე და ძალიან ცოტას – კვალიფიციური კადრების სიმწირეზე.

„ბოლო ოცი წლის განმავლობაში საოცარი სისწრაფით განვითარდა ტექნოლოგიები. სწორედ მისი ზრდის ტემპიდან გამომდინარე ვერ შევძელით კადრების შესაბამისი მომზადება (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ჩვენს ჯგუფში შემავალი კომპანიები და შესაბამისი კადრები). საქართველოდან ძალიან ცოტა თუ ახერხებს, დაესწროს ტექნოლოგიურ გამოფენებს და მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ სიახლის შესახებ. შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ქართულ წარმოებაში თითქმის შეუძლებელია. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, იმაზე რომ ქართული წარმოება უნდა შევიდეს ევროპის 500 მლნ-იან ბაზარზე, იქნებ ცოტათი მაინც გვეზრუნა ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და კადრების კვალიფიკაციაზე, რაც მნიშვნელოვანწილად შეამცირებს პროდუქციის ღირებულებას და გაზრდის ხარისხს“, – წერს ჩოჩელი.



## ავჭალაში მოკლული ქალის მეზობლები მკვლელობის ვერსიაზე საუბრობენ



ავჭალაში, ჩიქვანაიას ქუჩაზე მოკლული ლიანა ბარათაშვილის ცხედარი საკუთარ ბინაში მიასვენეს. ცხედარი ექსპერტიზაზე იყო გადასვენებული. მეზობლები მკვლელობის სავარაუდო მიზეზად ყაჩაღობას ასახელებენ, თუმცა მათთვის უცნობია მკვლელობაში ბრალდებულმა მოახერხა თუ არა რაიმე თანხის ან ნივთების წაღება.

როგორც ერთ-ერთი მეზობელი აცხადებს, ლიანა ბარათაშვილი ვაჭრობდა და შესაძლოა, სახლში გარკვეული ოდენობის ფული ჰქონდა. მეზობლების ინფორმაციით, ბარათაშვილი მეზობელმა, არსენ ლებანიძემ მოკლა.

„ძალიან კარგი ოჯახი იყო. ლიანა თავის ბიჭთან ერთად ცხოვრობდა. წვრილმანი რაღაცებით ვაჭრობდა და მთელ სამეზობლოს ეხმარებოდა. მთელი ქუჩა იცნობდა. როდესაც მკვლელობა მოხდა, მაშინვე მივხვდით, რომ ეს შინაურის გაკეთებული იყო, რადგან ის უცხო ადამიანს კარებს არასდროს არ უღებდა. ზუსტად არ ვიცით, რა ხდებოდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ყაჩაღობა იყო. მკვლელობა, როგორც ვიცით, ლებანიძემ მთვრალმა ჩაიდინა“. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ვერ აღკვეთა „ოცნებამ“ უგულავას „სითი პარკის“ პარპაში

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, „სითი პარკის“ ევაკუატორმა საჯარიმო ავტოსადგომზე გადაიყვანა მანქანა, სადაც მცირეწლოვან ბავშვს ეძინა. ეს შემთხვევა რამდენიმე დღის წინ თბილისის ცენტრში მოხდა და როგორც ბავშვის მშობელმა განაცხადა, მან მანქანა სუპერმარკეტის წინ სულ 15 წუთით გააჩერა, თან იქ, სადაც პარკინგი ნებადართული იყო. შენობიდან გამოსულს კი მანქანა ადგილზე რომ არ დახვდა, მანქანის გამოყვანა პატრონმა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეძლო და ის „სითი პარკის“ წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს. თუმცა, სანამ შეიტანდა საჩივარს, დავიჯეროთ, „სითი პარკის“ „შტუკებზე“ არაფერი გაუგია? მძინარე ბავშვი რამ დაატოვებინა მანქანაში?

ამას გარდა, „თავისუფალი საქართველო“ „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვს:

„ხელშეკრულება, რომელიც დაიდო თბილისის მთავრობასა და „სითი პარკს“ შორის თბილისში პარკირების სფეროს ექსკლუზიურ მართვასთან დაკავშირებით, წარმოადგენს კორუფციულ გარიგებას მერიის მაღალჩინოსნებსა (ქალაქის მაშინდელი მერი უგულავა და ვიცე-მერი ახვლედიანი) და კომპანია „სითი პარკს“ შორის. „სითი პარკი“ თავიდანვე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6-თვიანი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელიც პარკირების ახალი სისტემის დანერგვას, პარკირების საფასურის გადახდის სპეციალური მოწყობილობების, ეკრანიანი და ფიჭური სისტემების დამონტაჟებას ითვალისწინებდა, რეკორდულ დროში დამონტაჟდა „დგომა-გაჩერების“ ამკრძალავი ნიშნები, სასწრაფოდ დაიხაზა ტროტუარები (რითაც უხეშად დაირღვა ფეხით მოსიარულეთა უფლებები და საფრთხე შეექმნა მათ სიცოცხლეს) და მოსახლეობისგან ფულის წაგლეჯის მიზნით ავტომანქანებზე ნადირობა დაიწყო. ვინაიდან ჩვენ მიერ გაკეთებული არაერთი განცხადებისა და მერიაზე წერილობითი მიმართვისა (2013 წლის 25 სექტემბერი და 8 ოქტომბერი) „სითი პარკმა“ მოქმედების ყაჩაღური სტილი არ შეცვალა, აგრძელებს მოქალაქეების კუთვნილი ავტოტრანსპორტის ფარულად გადაყვანას და



მიხეილ ქავთარაძე

მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს მათ, „თავისუფალი საქართველო“ პარკირების 50-ლარიანი გადასახადის და მასთან ერთად, წურბელა „სითი პარკის“ გაუქმების ინიციატივით გამოდის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თბილისელებზე და თბილისში ჩამოსულ სტუმრებზე ფულის გამოძალვის მიზნით არის შექმნილი“, – ნათქვამია განცხადებაში.

დამეთანხმებით, ალბათ, რა პრეტენზიებიც არის ჩამოთვლილი, ყველა ნაღდია. საინტერესოა, თუ შეისწავლის საკრებულო „სითი პარკის“ საკითხს და ერთ სხდომას თუ მაინც მიუძღვნის?

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ქავთარაძეს:**

– რად უნდა ამას ლაპარაკი, რომ ამ ფირმას მტაცებლური პოლიტიკა აქვს? ამაზე ჩვენც ვსაუბრობთ საკრებულოში და სარევიზიო კომისია, რასაკვირველია, შეისწავლის, ზოგადად რა ფარული ხელშეკრულებები არსებობს მერიასა და თავად ამ „სითი პარკის“ მფლობელ ებრაულ კომპანიას შორის. ჩემი ინფორმაციით, მაგ „სითი პარკში“ სულ ახვლედიანისა და უგულავას მეგობრები არიან საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე. ამას ვამბობ მე ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე, მაგრამ ეს შესასწავლიცაა. როცა „სითი პარკი“ შემოვიდა, მისი ფუნქცია იყო პარკირების ორგანიზება, არადა, თავიდანვე პირდაპირ 25 და 50-ლარიანი გადასახადები დაადგინა გიგი უგულავამ. ეს თემა აშკარად შესწავლას საჭიროებს, რადგან მეც ვხედავ, რომ მანდ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს სამართლებრივ და ნორმალურ ქვეყანაში. თქვენ სხდომა ახსენეთ და ასეთი საკითხისთვის სხდომა არაფერს ნიშნავს, ვიდრე არ მოვა ახალი მერი, რომელსაც ექნება მაღალი ლეგიტიმაცია და ვიდრე არ ჩაუჯდება ამ ფირმის საქმეს ახალი მერია და საკრებულო. მანამდე, ვერაფერს ვიზამთ.

**— ვერაფერს ვიზამთო, ამბობთ, და ამ დროს ფირმა დადებულ პირობას არ ასრულებს, გვატყავებს და გვაინტერესებს, სამართლებრივად თქვენ ხომ გაქვთ უფლება, პასუხი მოსთხოვოთ მერის მოვალეობის შემსრულებელს?**

– უგრეხელიძის პასუხისმგებლობაზე ადრე უგულავას პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. ის ხელშეკრულება, რაც დღესაც არსებობს, ახალ მერთან ბმაში ნამდვილად არ არის, უგრეხელიძე, უბრალოდ, მოვალეობის შემსრულებელია.

– მერე რა, რომ მოვალეობას ასრულებს. „სითი პარკიდან“ ფული ხომ დღესაც შედის მერიაში? ამას დღეს უგრეხელიძე განკარგავს.

– ჩემი აზრით, ვინც კონტაქტობდა იმ ებრაელებთან, იქიდან უნდა დავიწყოთ მაინც. სწორად გამიგეთ, იქ ურთიერთშემხვედრი პირობები პირად დონზე წყდებოდა იმ ებრაელებსა და ახვლედიან-უგულავას შორის. მაგრამ საქმის თავი და თავი მაინც უგულავა იყო, ამიტომ ეს თემა კარგად შესასწავლია. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ სხვა თემებზე ვართ გადართული. ჩვენს კომისიას 13 რევიზორი ჰყავს და რაც დავიწყეთ, ერთი დღე არ დაგვისვენია: ვასრულებთ ერთი საქმის შესწავლას და ვიწყებთ მეორეს. როცა ჩემს წინამორბედებს თვეში ის ერთი საქმეც არ აქვთ შესწავლილი და როგორ ასრულებდნენ ამ საქმეებს, ეგეც კარგად ვიცით. „სითი პარკთან“ დაკავშირებული ხელშეკრულება შესასწავლია, მერე ის აუქციონია შესასწავლი, ბიუჯეტში რამდენი შევიდა ამ თანხებიდან, ეს ყველაფერი დასათვლელია, გარდა ამისა, ეს თანხები არ აისახებოდა ქალაქის ბიუჯეტში. ამას ყველაფერს დეტალური გამოკვლევა სჭირდება. ეს იყო ერთი დიდი სინდიკატი და ჩაკეტილი წრე და ყველაფერს ამას ერთი კაცი წყვეტდა, მისი მმართველობა იყო და ეს იყო თბილისის ამირა უგულავა. დღესაც, სამწუხაროდ, იგივე ჩაკეტილი წრეა, ისევ მისი მარიონეტები მართავენ „სითი პარკს“. მტაცებლობაა, აბა რაა, ხომ მიჰყავთ და მიჰყავთ ეს მანქანა და კიდევ 70 ლარი უნდა გადაიხადო, საჯარიმო სადგომიდან შენი მანქანა რომ წამოიყვანო. ეს პარკინგის სისტემა აუცილებლად უნდა დარეგულირდეს, რა თქმა უნდა. კი, ღვედების გაკეთება ვისწავლეთ ამ თბილისში და ამ მანქანებით გადავსებულ ქალაქს ვერ უძლებს ეს პარკინგისთვის დაწესებული ადგილები და რა გინდა, რომ ქნა? კი, ყველგან გაჩერება არ შეიძლება მანქანის, მაგრამ ის, რომ მიადგებიან და სასწრაფოდ მიარბენინებენ მანქანებს, ესეც ხომ უბედურებაა? რატომ ჯდება ამხელა ფული მათი უკან გამოყვანა? ამ ჯარიმებით ხომ უზარმაზარი თანხა შესდიოდათ? ახლა უნდა ვაღიარო, რომ „სითი პარკისთვის“ ჩვენმა კომისიამ ვერ მოიცალა, რადგანაც გამგეობების შემოწმებებზე ვართ გადასულები, მაგრამ პირობას გაძლევთ თბილისელებს, რომ აუცილებლად შევისწავლით ამ საკითხს და თუ იქ კრიმინალის შემთხვევები ამოვარდა მუშაობის დროს, კორუფციული სქემები და ასევე კორუფციული თემები, ამით უკვე მერე სხვა ორგანოები დაინტერესდებიან.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამოცდების ეროვნული ცენტრი ღია კარის დღეებს იწყებს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ღია კარის დღეების ჩატარებას იწყებს. ცენტრის ცნობით, ღია კარის დღეები მოეწყობა აბიტურიენტებისთვის – 13 მარტს, 15:00 საათზე; მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის – 11 მარტს 15:00 საათზე; ხოლო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეებისთვის – 12 მარტს, 16:00 საათზე; ღია კარის დღეზე მისულ ყველა სტუმარს შესაძლებლობა ექნება, დეტალური ინფორმაცია მიიღოს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, საგნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელები უპასუხებენ როგორც პროცედურულ, ისე შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებულ კითხვებს. (ინტერპრესნიუსი)

გამოცდების ეროვნული ცენტრი

## აშშ რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ სანქციებს აწესებს



ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის გამო, რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ სავიზო სანქციებს უწესებს იმ რუს ჩინოვნიკებს, რომლებსაც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის და სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნაზე პასუხისმგებლებად მიიჩნევენ.

პრეზიდენტის განკარგულებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი შემოიღებს სავიზო სანქციებს, რომელიც რიგ რუს ჩინოვნიკსა და ფიზიკურ პირს ეხება. (ინტერპრესნიუსი)

## „ქართველი მეწარმეები უკრაინულ ბაზარს არ დათმობენ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დარწმუნებულია, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები ქართულ ეკონომიკაზე უარყოფითად არ აისახება და ქართველი მეწარმეები უკრაინულ ბაზარს არ დათმობენ.

„ჩემი აზრით, ქართველი მეწარმეები არ დათმობენ უკრაინულ ბაზარს და მიუხედავად ლოკალური წინააღმდეგობებისა, უკრაინულ ბაზარზე დარჩება ქართული პროდუქცია“, – განაცხადა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

## მიუსაფართა თავშესაფარი 1 754 424 ლარი დაჯდება



მთავრობამ მიუსაფართა თავშესაფრის პროექტი დაამტკიცა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, აღნიშნული პროექტი დიდი ლილოს ტერიტორიაზე სენდვიჩ-პანელებისგან აწყობილი ერთსართულიანი კონსტრუქციის მშენებლობას ითვალისწინებს და 240 ბენეფიციარზეა გათვლილი.

თავშესაფარში მოეწყობა ორი საცხოვრებელი ფლიგელი სველი წერტილებით მამაკაცებისა და ქალებისთვის, სასადილო, რომელიც 160-180 ადამიანზე იქნება გათვლილი და 2 ცვლაზე იმუშავებს, ადმინისტრაციული შენობა, დაცვისა და მიმღების ოთახები, კრიზისული ბლოკი და სხვა დამხმარე სათავსები.

ეზოშივე განლაგდება სამედიცინო პუნქტი, რომელიც შედგება მისაღებისგან, 12 ადამიანზე გათვლილი კარანტინისგან, ფსიქოლოგის ოთახისა და სველი წერტილებისგან. საერთო ჯამში, პროექტის მიხედვით, თავშესაფარი 4 170 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობზე განთავსდება. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ეზოს კეთილმოწყობაც.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 1 754 424 ლარი იქნება. აღნიშნულ პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსებმა უკრაინის გემებს ზღვაში გასასვლელი ჩაუხერგეს

რუსმა სამხედროებმა სევასტოპოლში ხომალდი ჩაძირეს და ამ გზით უკრაინის ფლოტის გემებს ზღვაში გასასვლელი ჩაუხერგეს. გავრცელებული ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა ხომალდი „ოჩაკოვი“, რომელიც მანამდე ჩამოწერილი იყო, დონუზლავის ტბის შესასვლელთან ჩაძირეს და ამ გზით უკრაინის სამხედრო-საზღვაო შეიარაღებული ძალების ხომალდებს ზღვაში გასასვლელი ჩაუკეტეს. ხომალდის ამოყვანას საკმაოდ დიდი დრო და ფინანსები დასჭირდება. (ინტერპრესნიუსი)

# მხოლოდ 5 სამინისტრო საწვავში 20 მილიონს ხარჯავს

საქართველოს მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა მთავრობის წარმომადგენლებს, თანხები დავზოგოთო. ეს ბრძანება და მისი შესრულების საკითხი დაახლოებით იმას ჰგავს, სააკაშვილმა რომ მოუწოდა თავის დროზე მინისტრებს, ქამრები შემოიჭირეთო და ყველაზე გაბღენძილი მისი მინისტრები დადიოდნენ მერე სხვის ხარჯზე. ახლაც ასე ხდება, არც ერთ მინისტრს რეალურად არაფერი მოუკლია საკუთარი თავისთვის.



პირიქით, არც ახალი მანქანების შეძენაზე უთქვამთ უარი, თანაც ისეთი მარკის ავტომობილების შეძენაზე, რომელიც უხვად მოიხმარს ისედაც კოლოსალურად გაძვირებულ საწვავს.

სხვათა შორის, რუსეთში, ქვეყანაში, სადაც საწვავი ბევრად იაფია, პრობლემა არ არსებობს, უკვე მედვედევის ბრძანებით კომუნალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სპეცტექნიკა გაზზე გადაჰყავთ. ამით ხაზი გაუსვეს იმას, რომ ბენზინი მართალია, იაფია, მაგრამ გაზზე გადაყვანით ბიუჯეტში თანხები დაიზოგება.

„ალია“ დაახლოებით ორი თვის მანძილზე აქვეყნებდა სხვადასხვა სამინისტროების ხარჯებს, სადაც ყველაზე დიდი ხარჯები საწვავზე იყო გაწერილი. მაგალითისთვის, ყველაზე მსხვილი ხარჯი აქვთ: სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 5 425 214 ლარი, გარემოს დაცვის სამინისტრო – 1 064 940 ლარი, ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 6 046 984 ლარი, სასჯელაღსრულების სამინისტრო – 4 419 864 ლარი, იუსტიციის სამინისტრო – 2 883 820 ლარი. ეს კი, ჯამში, 20 მილიონამდე გამოდის. მართალია, საცალოსგან განსხვავებით, საწვავის სატენდერო ფასი 1.91 ლარია, მაგრამ ეს სურათს არ ცვლის – 20 მილიონი მაინც საწვავში იხარჯება.

ყველასთვის ცნობილია, რომ მოქალაქეთა უმეტესობას ეკონომიის მიზნით, ავტომანქანები გაზზე ჰყავს „გადაყვანილი“. რატომ არ აკეთებს იგივეს მთავრობა და რა ეკონომიას მიიღებს ბიუჯეტი, თუკი გაზის მოხმარებაზე გადაიყვანს ავტოპარკს?

**„ალია“ კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ წარმომადგენელს, ექსპერტს საავტომობილო საკითხებში, ვასო ურუშაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ვასო, მთავრობამ ავტოპარკი გაზზე რომ გადაიყვანოს, ამ გზით და სავარაუდო გათვლებით, რა თანხას დაზოგავს ბიუჯეტი?**

– ჩვენი კოალიცია და „ეკო-ტრანსპორტ ცენტრის“ წარმომადგენლები რამდენიმე წელია საავტომობილო ტრანსპორტის ალტერნატიულ საწვავზე გადაყვანის საკითხებზე ვმუშაობთ. აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით წინა ხელისუფლებასთან, ჩავატარეთ არაერთი კვლევა, სადაც დავთვალეთ საქართველოს პარლამენტის ავტოპარკის წლიური მომსახურების ხარჯი და შევადარეთ გადაკეთებულ ალტერნატიულ საწვავზე მომუშავე ავტომობილებთან, კერძოდ ელექტრომობილებთან. სამწუხაროდ, ჩვენმა ძალისხმევამ დიდი შედეგი არ გამოიღო, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია შემოიფარგლა სამი ელექტრომობილის შეძენით.

რაც შეეხება დღევანდელ სახელმწიფო უწყებების მიერ საავტომობილო პარკისთვის გაწეულ საწვავის ხარჯებს, დაგეთანხმებით, რომ ნამდვილად კოლოსალურია საწვავის ხარჯი. ავტომობილის მომსახურების ხარჯი არაა დამოკიდებული მხოლოდ საწვავის ღირებულებაზე. გარდა საწვავისა ავტომობილის შენახვისთვის გათვალისწინებულია არაერთი მომსახურების ხარჯი, მაგალითად, ძრავის ზეთის, საბურავების შეცვლა, ტექნიკური მომსახურება და დიაგნოსტიკა, სხვადასხვა საზეთ-საპოხი მასალები და სხვ. წვრილმანი გაუთვალისწინებელი ხარჯები. რაც არანაკლებ ღირებულებას მოიცავს, ვიდრე მხოლოდ საწვავის ფასი.

**— ეგ გასაგებია და სამინისტროებს ცალკე ხარჯად აქვთ გაწერილი. მე გეკითხებით, რა თანხა დაიზოგება, თუკი ავტოპარკი ბენზინის ფასის სიძვირის გამო, მაგალითად, გაზით ისარგებლებს?**

– ეკონომიკური ეფექტის მისაღებად სახელმწიფო უწყებების ავტოპარკის გაზზე გადაყვანა, მოგვცემს მოკლევადიან ეკონომიკურ ეფექტს, საბოლოო ჯამში კი მაინც წამგებიანი იქნება, რამდენიმე მიზეზის გამო: ავტომობილების გაზზე გადაყვანა არის დამატებით ღირებულება, რომელიც აღემატება 2500 ლარს, ასევე, მოგეხსენებათ, ყოველ ავტომობილს აქვს თავისი ტექნიკური მახასიათებელი, რომელიც თუ გათვლილია ბენზინის საწვავის მოხმარებაზე და გადაგვყავს სხვა ალტერნატიულ საწვავზე, მაგალითად, გაზზე, დროდადრო იწვევს სხვადასხვა აგრეგატების მწყობრიდან გამოყვანას და მათ კოროზიას, რის აღმოსაფხვრელადაც ხშირ შემთხვევაში საჭიროა გაუთვალისწინებელი ტექნიკური მომსახურება, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, თუ დავითვლით ავტომობილის მომსახურების დაახლოებით სამი წლის ხარჯს, გაზზე გადაყვანილი ავტომობილი შეიძლება მეტად ძვირი

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატოს სანქციები რუსეთს გონს მოსაგებად უწესდებაო



პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, რუსეთი ცივილიზებული მოქმედების ფარგლებიდან გამოვიდა, რადგან ის თავის მოქმედებით მსოფლიო წესრიგს არღვევს.

„დასავლეთი ცდილობს, რუსეთის იმპერიალისტური ქმედება შეაჩეროს და მოაქციოს გარკვეული წესების ფარგლებში. ამიტომ, ნატოს მხრიდან ეტაპობრივი მიდგომა, გარკვეული პროგრამების შეჩერება და სანქციების დაწესება მიზნად ისახავს, რომ რუსეთი გონს მოეგოს და აღდგეს სტატუს კვო. მან პატივი უნდა სცეს უკრაინის სუვერენიტეტს, რომ მომავალში მისი აგრესია არ განმეორდეს“, – განაცხადა სესიაშვილმა.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო, ნატო რუსეთთან თანამშრომლობის შემცირების მიზნით, რამდენიმე დაუყოვნებელ ნაბიჯს დგამს.

ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, უკრაინაში შექმნილ სიტუაციას სერიოზული შედეგები აქვს ევროატლანტიკური არეალის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. მისივე თქმით, რუსეთი აგრძელებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისა და საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.

„ჩვენ ვაჩერებთ ნატო-რუსეთის პირველი ერთობლივი მისიის დაგეგმვას. უარს ვამბობთ ამერიკულ ხომალდ ჩაპე ლაყ-სთვის (რომელსაც შემდგომი ნეიტრალიზაციისთვის სირიიდან ქიმიური იარაღი გამოაქვს) რუსული სამხედრო ხომალდების საზღვაო ესკორტზე. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არ აისახება ქიმიური იარაღის განადგურებაზე, მაგრამ რუსეთი არ იქნება ჩართული ამერიკული ხომალდის ესკორტში“, – განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

ამასთანავე, ანდერს ფოგ რასმუსენმა აღნიშნა, რომ ალიანსის გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე არ გაიმართება ნატო-სა და რუსეთის შეხვედრები სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლების დონეზე. მისივე თქმით, ალიანსი იწყებს რუსეთთან თანამშრომლობის მთელი კომპლექსის გადახედვას. (ინტერპრესნიუსი)

## „ვერ ვარ ამაყი, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი“



„დღეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა ამ პარლამენტის კედლებში და ვერ ვარ ამაყი, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი“, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საპარლამენტო სესიაზე, უკრაინის თემაზე მსჯელობის დასასრულს განაცხადა. „გთხოვთ ყველას, ერთი წუთით შევხედოთ საკუთარ თავს რიგითი უკრაინელი მოქალაქის გადმოსახედიდან. წარმოიდგინეთ, გვისმენდა რიგითი უკრაინელი, რომელსაც ვეუბნებით, რომ ორი თუ სამი დღეა ჩვენ ვცდილობთ, ვმუშაობთ იმაზე, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, რომლითაც დაგეხმარებით. თუმცა, შემდეგ ნახა ეს ყველაფერი და მოისმინა. არ სჭირდება ბევრი ფიქრი, რა ხასიათზე დადგება ნებისმიერი მოქალაქე, ვინც ამას უყურებდა“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

„ვცდილობდით, თუ რაიმე სათქმელი, საკამათო, შესათანხმებელი იყო, ეს ყოფილიყო მუშა რეჟიმში და აქ გველაპარაკა უკრაინაზე, უკრაინელებზე, უკრაინისთვის დახმარებაზე. საბოლოოდ გამოგვივიდა ის, რომ 90% პროცენტი დროისა და ენერგიის დავხარჯეთ იმაზე – შენ ასე თქვი და ვინ სწორია და ვინ მტყუანიაო“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მე-7 დაწესებულებაში ტუბერკულოზის საფრთხეა

სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაში პატიმრებს საკვები და პირადი ნივთები იატაკზე უწყვიათ. არ არის გამართული სავენტილაციო სისტემა, საკნების ნაწილი ნესტიანია, რაც ტუბერკულოზით დაავადების, ან განმეორებით დაავადების საფრთხეს ქმნის, დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, პატიმრებს არ აქვთ საკმარისი თბილი ტანსაცმელი, საკნებში არ აქვს ტუმბოები და თაროები, რის გამოც, პირადი ნივთები და საკვები იატაკსა და საწოლზე უწყვიათ. ირღვევა ჰიგიენური ნორმები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი ჯანმრთელ პატიმრებთან მოათავსეს. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ არ გადაჰყავს ღარიბაშვილს ავტოპარკი გაზზე ეკონომიისათვის?

*მეშვიდე გვერდიდან*

დაგვიჯდეს, ვიდრე ბენზინზე ან დიზელზე მომუშავე. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გაზზე გადაყვანილი ავტომობილის უსაფრთხოების ნორმები დაბალია, გაზის ეგრეთწოდებულ ბალონებს აქვთ თავიანთი მოხმარების ვადები და ნორმები, რისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაშიც, შესაძლო, აღმოჩნდეთ ნაღმზე ავტომობილში და მივიღოთ კატასტროფული შედეგი.

**— თქვენ რამე ვარიანტი გაქვთ ელექტრომობილების გარდა?**

– სახელმწიფომ უნდა დაიწყოს ზრუნვა სახელმწიფო (ეს არ ეხება საგანგებო სამსახურების ავტომობილებს) ავტოპარკის ეტაპობრივად ალტერნატიულ საწვავზე მომუშავე ელექტრომობილებით ან ჰიბრიდული ავტომობილებით ჩანაცვლებაზე. რაც ძალიან დიდი ეკოლოგიური ეფექტის გარდა, გვაძლევს დიდ ეკონომიკურ ეფექტსაც. ჩვენი გამოთვლებისა და კვლევების თანახმად, ელექტრომობილების, შეძენისა და სამი წლის მომსახურების ხარჯები, დღეს არსებული სახელმწიფო ავტოპარკების ავტომობილებთან შედარებით 80%-ით ეკონომიურია. სახელმწიფოს დღეს აშკარად აქვს რაციონალური აზროვნების ნაკლებობა, კონკრეტულად ავტოპარკების განახლების პროცესში, როცა ძველ ავტომობილებს ანაცვლებენ ახლით, რომლის ძრავის მოცულობა ბევრად უფრო დიდია და თავისთავად მეტი რაოდენობის საწვავს მოიხმარს, რაც დამატებით ტვირთად აწვება საქართველოს ბიუჯეტს.

**შალვა ოგბაიძე**, ექსპერტი:

**— ბატონო შალვა, რამდენად ეფექტური იქნება ხარჯების დაზოგვის მიზნით ავტოპარკის გაზზე გადაყვანა?**

– იმ შემთხვევაში გავარკვევთ, რამდენად არაეკონომიურია, თუ ზუსტად გვეცოდინება, რამდენმა მანქანამ მოიხმარა 20 მილიონი ლარის საწვავი. თუ გარკვეული თანხა მოიხმარა 1200-მა მანქანამ და მან გაიარა რამდენიმე კილომეტრი, რაოდენობასა და კილომეტრებზე რომ ყოფ, მაშინ უნდა მოგცეს ეკონომიაზე გათვლა. გაზზე გადაყვანის არსი ხომ არის საწვავის ხარჯის შემცირება? მანქანის ხარჯს ის აიაფებს 40-45 პროცენტით. თუ წვავდა მანქანა 15 ლიტრს, გაზზე გადაყვანის შემთხვევაში 9 ლიტრს წვავს, ანუ თანხობრივ გამოსახულებაში საგრძნობი ეკონომიაა.



ვასო ურუშაძე



შალვა ოგბაიძე

**— დაგვიზოგავს მაშინ თანხა, ხომ ასეა?**

– თუ ორიენტირებული ხარ ეკონომიაზე საჯარო მოხელე, ამ ეკონომიის მიღწევა შეიძლება სხვა გზითაც. ნუ იყიდი იმ მანქანას, რომელიც 15 ლიტრს წვავს, იყიდე ის მანქანა, რომელიც 9 ლიტრს დაგიწვავს. ახალი მანქანის გაზზე გადაყვანა, მოქმედი რეგულაციით, ევროკავშირის მიხედვით ითვლება, კონსტრუქციულ ცვლილებად. ამის განხორციელების შემდეგ დილერთან შეუთანხმებლად კარგავ 4-წლიან გარანტიას, ანუ დილერი პასუხს არ აგებს არაფერზე, რადგან მათ არ იციან, ვისი შემოტანილი და დამონტაჟებულია ეს გაზი.

**— მცირელიტრაჟიანის გარდა, ეკონომია სხვა გზითაც ხომ შეიძება, რომ საწვავზე ამდენი თანხები არ იხარჯებოდეს?**

– დიახ, საწვავეფექტური მანქანის შეძენის გარდა, არის კიდევ ერთი გზა. სააკაშვილის მთავრობაშიც და ახლაც მინახავს მოხელე, რომელიც თავის მანქანას იყენებს მხოლოდ სამსახურებრივად, მაგრამ მე მინახავს დღესაც და ადრე ხომ საერთოდ, უმსგავსობა იყო, როცა მოხელეების შვილები, ცოლები და სიდედრები დადიან დასასვენებლად გუდაურში და რესტორნებში. აი, სადაა კიდევ ერთი რეზერვი. ის სახელმწიფო მანქანაა და არა სარესტორნო. კონტროლისა და მომთხოვნელობის მიზნით, თითოეულ მანქანას უნდა დაუყენდეს გადაადგილების მაჩვენებელი. ყველა დიდ ფირმას უყენია ე.წ. ჩიპი მანქანაში, სადაც აღირიცხება, რამდენ საწვავს მოიხმარს, რამდენ კილომეტრს გადის, სიჩქარეს აჭარბებს თუ არა. გაზის დამონტაჟება იმ ავტომობილების მძღოლებისთვის არის მომგებიანი, რომელთაც მეორადი ავტომობილები ჰყავთ, წვავენ 14 ლიტრს და სურთ არა მარტო ეკონომიის გაკეთება, არამედ გაზი ეკოლოგიურადაც სუფთაა და თუნდაც, ტექდათვალიერების დროს, ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნება.

**მთავრობის პოზიციის გასარკვევად „ალია“ პრემიერ-მინისტრის აპარატს დაუკავშირდა. უწყების სახელით ანა გოჩაშვილი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: „რა თქმა უნდა, ვფიქრობთ ხარჯების შემცირებაზე და ალტერნატიულ მეთოდებზე, მაგრამ გაზზე გადაყვანა ხარჯიანია, ამას გარდა, გაზზე გადაყვანასთან დაკავშირებით სხვა ბევრი მიზეზია, რაც არ მოხერხდება“.**

**რედაქციისგან: მართალია, ექსპერტები ავტოპარკის გაზზე გადასვლას ნაწილობრივ ეთანხმებიან, მაგრამ პრობლემებსაც ასახელებენ. მთავრობის სურვილის შემთხვევაში გამოსავალიც ადვილად მოიძებნება. მაგალითად, სატენდერო პირობებში შეგიძლიათ, ჩაწეროთ, რომ გსურთ მწარმოებელ საავტომობილო ქარხანაშივე, ქარხნულად დამზადებული ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილების შეძენა. მსგავსი პრაქტიკა არსებობს „მერსედესისა“ და „ოპელის“ ქარხნებში.**

**ისე, გაზს ვინ ჩივის, დიზელის მანქანების შეძენაც კი არ სურთ, რაც 20-25%-იან ეკონომიას იძლევა. არ კადრულობენ და იმიტომ, ამათაც გაუტკბათ ხალხის ხარჯზე გრიალი.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოწოდებამ — ბოიკოტი რუსულ პროდუქციას, არ იმუშავა

4 მარტს გადაცემა „არჩევანში“ ორგანიზაცია „ევროპული მომავლისთვის“ წარმომადგენელმა მოწოდება გააკეთა: „მინდა ვთხოვო ჩემს მეგობრებსა და საზოგადოებას, რომ უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ბოიკოტი გამოვუცხადოთ რუსულ კომპანიებს, არ ჩაასხათ „ლუკოილის“ საწვავი და არ შეიძინოთ რუსული პროდუქცია“. მოჰყვა თუ არა რეაქცია რუსული პროდუქციის ბოიკოტის მოწოდებას?

„ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, შავლეგო მიშველაძის განცხადებით, მართალია, მოწოდება არ უნახავს, მაგრამ უკვირს, რატომ უნდა შემცირებულიყო გაყიდვები მათ ავტოგასამართ სადგურებზე, მით უფრო, რომ „ლუკოილი“ წარმოადგენს ტრანსნაციონალურ კომპანიას?

მოწოდება არ ასახულა კომპანია „ბილაინზეც“. „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, თეონა ბაღდავაძის განცხადებით, „ბილაინი“ არ არის რუსული კომპანია, ჩვენი სათავო ოფისი არის ამსტერდამში, თუმცა გვაქვს ოფისი რუსეთშიც. რაც შეეხება ბოიკოტს, ამ ეტაპზე არანაირი მაჩვენებელი იმისა, რომ ვინმემ ბოიკოტი გამოუცხადა კომპანიას არ გვაქვს. ვმუშაობთ ისე, როგორც აქამდე“.

რა ვითარებაა მარკეტებში, იკლო თუ არა რუსული პროდუქციის რეალიზაციამ? ჩვენ ხუთ დიდი სუპერმარკეტში, მათ შორის „ქარვასლაში“ განთავსებულ „კარფურშიც“ ვიმყოფებოდით, სადაც კონსულტანტები და მაღაზიის მენეჯერები აცხადებენ, რომ მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა და ისეთივე მოთხოვნადია რუსეთიდან შემოსული პროდუქტები, როგორც აქამდე იყო.

ცნობისთვის რუსეთიდან ამ დროისთვის საქართველოში შემოდის ბავშვთა კვების პროდუქტები, კონსერვები, გაყინული თევზი და თევზის კონსერვები, ნატურალური წვენები, ბურღულეული. საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მომმარაგებელია რუსეთის მედიკამენტებითაც. როგორც ჩანს რიგითი მოქალაქეები არ აპირებენ უკრაინელთა სოლიდარობის ნიშნად უარი თქვან რუსულ პროდუქციაზე.

„ალია“ დაინტერესდა, ხომ არ გეგმავს ტელეეთერით გაჟღერებულ მოწოდებას, შეუერთდნენ ღვინისა და მინერალური წყლის კომპანიები, რომლებიც რუსულ ბაზარს სპირტიანი სასმელებით, ღვინითა და მინერალური წყლებით ამარაგებენ?

როგორც „ალიას“ ღვინის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა განუცხადა, ამ დრომდე მათთან არ შესულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომელიმე ღვინის კომპანია გეგმავდეს, შეაჩეროს სასმელის შეტანა რუსულ ბაზარზე. იგივეს გვიმეორებს მინერალური წყლის კომპანია „ბორჯომის“ პიარის სამსახური ნიცა ჩოლოყაშვილიც.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოწოდება გაისმა რამდენიმე კვირის წინ „მაკდონალდსთან“ დაკავშირებითაც, მაშინ მიზეზი ის იყოს, რომ კომპანიამ საკუთარ ვებგვერდზე აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოდ წარმოადგინა. მაშინაც საზოგადოების ერთი ნაწილის მოწოდებამ, უარი ეთქვათ „მაკდონალდსის“ მომსახურებაზე, შედეგი არ გამოიღო.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

# თუკი შს მინისტრი ჭიკაიძე ფარულად არ გვისმენს, რატომ არ ცვლის ძველ სისტემას?

არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამოიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ!“ მათი აზრით, „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ მმართველ კოალიციას ფარული მიყურადებისა და თვალთვალის მიმართულებით არანაირი სისტემური ცვლილება არ განუხორციელებია. დაპირების მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებს კვლავ აქვთ შეუზღუდავი წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან და მოქალაქეთა შორის ყველა სახის კომუნიკაციასთან.

„ალია“ კომენტარისთვის აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელს, **ეკა გიგაურს** დაუკავშირდა:

**— შს მინისტრი ამბობს, რომ არანაირი ფარული მიყურადება არ ხდება, ამის ფონზე თქვენ იწყებთ აქტიურ კამპანიას, რა კონკრეტული პრეტენზიები გაქვთ შსს-სთან?**

– ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს „შავი ყუთები“ აქვს განთავსებული მობილური ოპერატორების ოფისებში, ამაზე თვითონ მობილური ოპერატორებიც საუბრობენ. აქ არაფერი ახალი არ არის. მობილური ოპერატორების სერვერები პირდაპირ არის დაკავშირებული შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ისე რომ ამაზე ზედამხედველობის მექანიზმი არ არსებობს. შსს-მ რომ მოინდომოს, ერთდროულად შეუძლია 21 ათასი ადამიანის მოსმენა, ისე რომ ამას ვერავინ გაიგებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ამას ახორციელებენ. შსს-ს აქვს ამის ტექნიკური საშუალება და მათ არ უნდათ შეცვალონ რაღაც ამ სისტემაში, მათ უნდათ რომ ამ საშუალებებით ხალხს მოუსმინონ. ზუსტად ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ დაინერგოს ისეთი სისტემა როგორიც არის დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ბატონი ჭიკაიძე რომ ამბობს, მე არ ვუსმენო, ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს, ამის გადამოწმება შეუძლებელია.



**— თქვენ საპირისპიროს ამბობთ და თქვენც არ გაქვთ საბუთი.**

– მე ვამბობ, რომ სურვილის შემთხვევაში შსს-ს 21 ათასი ადამიანის მოსმენა შეუძლია. სავარაუდოდ, რაღაც რაოდენობას ის უსმენს. ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტები არის ის, რომ თუკი თქვენ არ უსმენთ და თუკი თქვენ ამას არ იყენებთ, მაშინ რატომ არ ცვლით ამ არსებულ სისტემას და ამ მანკიერ პრაქტიკას, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა და რომლის საშუალებითაც, ფაქტობრივად, შესაძლებელი გახდა, რომ შეგროვებულიყო იმხელა არქივი, რომელიც შსს-ს აქვს. რატომ არ ცვლიან თუ უნდათ? ჩვენ უკვე ერთი წელია ვმუშაობთ კანონპროექტზე, განვიხილავთ კონკრეტულ მექანიზმებს, რომელიც შეცვლის ამ სისტემას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ საერთოდ არ უნდა მოუსმინოს არავის, ჩვენ ვამბობთ, რომ მან უნდა მოუსმინოს მხოლოდ და მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც შეიძლება ჩართული იყვნენ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულში, სხვები არ შეიძლება რომ ამაში შედიოდნენ. ჩვენ ასევე ვამბობთ, რომ ეს უნდა იყოს განსაკუთრებული, უკანასკნელი ზომა, რაზეც საუბრობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. აგრეთვე, უნდა იყოს დამოუკიდებელი მექანიზმი არა შსს-ში, არამედ მის გარეთ, რომელიც ამ ყველაფრის მონიტორინგს განახორციელებს.

**— ეკა, განსაკუთრებული აქცენტი გაქვთ გაკეთებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე და თითქმის ყველა თქვენი კომენტარი ხაზგასმით ამ ნაწილს ეხება, ამასთან დაკავშირებით ახალი ფაქტები ხომ არ გაქვთ? ისევ ხდება პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გაკეთება?**

– პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობას. ამ უკანასკნელში შედის ჩვენი „ესემესები“, მაგალითად, ინფორმაცია ჩვენს ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით, ინფორმაცია ჩვენი მდებარეობის შესახებ, რომელ ვებგვერდებზე შევდივართ, ეს არის ყველაფერი პირადი ინფორმაცია. ამის საშუალებით შეუძლიათ თქვენზე ინფორმაციის შეგროვება, ყველაფერი იმით, რაც გროვდება თქვენს ტელეფონში. აქ მხოლოდ მიყურადებაზე არ არის საუბარი, აქ საუბარი ყველაფერ ზემოჩამოთვლილზეა. მაგალითად, თქვენი ტელეფონის ნომერზე რომ დარეკონ, მაშინვე ის სისტემა მისცემს ინფორმაციას, სად იმყოფებით ტერიტორიულად. ასევე, თუ „იმეილს“ ტელეფონით ამოწმებთ, იქაც შეუძლიათ შეღწევა.

**— რაც შეეხება წამოწყებულ კამპანიას, რა აქტივობები გაქვთ დაგეგმილი?**

– აქ ძირითადად იქნება საუბარი იმ კანონმდებლობაზე, რომლის შეცვლაც ჩვენ გვინდა. ერთი მხრივ, საზოგადოება ჩავრთოთ ამაში, მივაწოდოთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა შეიცვალოს კანონში და მეორე მხრივ, უკვე ჩვენ წარვადგენთ ჩვენს წინადადებას. ჩვენ ვისაუბრებთ საერთაშორისო გამოცდილებზე და იმ რეგულაციებზე, რომლის შემოღებაც გვინდა.

**— თქვენ და ჭიკაიძე თანხვედრაში ვერ მოდიხართ, ის არ აღიარებს იმას, რომ ხალხს უსმენს და ეს გასაგებიცაა. ამ შემთხვევაში რა მექანიზმი გაქვთ შემუშავებული თქვენი სიმართლის დასადგენად?**

– თუკი შსს ამბობს, რომ ის არ არღვევს ადამიანის უფლებებს, მაშინ მიიღოს ის ცვლილებები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რაში სჭირდებათ ეს განუსაზღვრელი უფლებები? თუ ისინი კანონმდებლობას ახლა არ ცვლიან, იმიტომ ხდება რომ დღეს იყენებენ ამ ძალაუფლებას ან მომავალში აპირებენ გამოყენებას. სხვა შემთხვევაში რატომ არ ცვლიან? ეს არის ლოგიკა ამ ყველაფერში. ჩვენ არ ვამბობთ, რომ 21 ათასივეს ახლავე უსმენენ. ჩვენ ვამბობთ, რომ, თუ მოინდომეს, ამას იზამენ. ნამდვილად ვერ შევადარებ ამ შსს-ს ძველს, მაგრამ კარგი იქნება, თუ შეცვლიან ამ ძველ მექანიზმს.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინა კი არა, საკუთარი სამშობლოს ბედი არ გაინტერესებდათ



დეპუტატ ეკა ბესელიას შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც საკუთარი სამშობლოსა და ხალხის ბედი არ აინტერესებდა, უკრაინის თემით სპეკულირებს.

„ბატონებო, შიშსა და სიმხდალეზე რომ ლაპარაკობთ, ხომ ბუნებრივია, რომ გვახსენდება და პარალელებს ვავლებთ, როგორ იბრძოდა უკრაინელი ხალხი თავისუფლებისთვის, თავისი ქვეყნისთვის და გვახსოვს, თქვენ როგორ იბრძოდით და რას აკეთებდით აგვისტოს დღეებში. გვახსოვს წითელ ხიდთან რომ იდგა ცოცხალი რიგი და ერთმანეთს ასწრებდით. შიშზე როცა საუბრობთ, გვახსოვს მიწაზე მფორთხავი მთავარსარდალი. გვახსოვს, რას აკეთებდა თავდაცვის მინისტრი. კარგად გვახსოვს, რომ მიტოვებულ მიცვალებულებს მიწას ვერ მივაბარებდით, საქართველოს პატრიარქი რომ არ შესულიყო და არ გამოეყვანა. გვახსოვს, 21-ე საუკუნეში უცნობი ჯარისკაცის საფლავები რომ გვაქვს, ხოლო გადარჩენილი ჯარისკაცები ციხეში ჩასვით და ჯაშუშობა დააბრალეთ. მახსოვს, ქუთაისელი ქალბატონის, ნელი მჭედლიძის ისტორია, რომლის შვილი ომში 8 აგვისტოს დაიღუპა და ეს ქალბატონი იმიტომ დააპატიმრეს, რომ არცთუ ისე სასიამოვნო განცხადებები გააკეთა, მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტისა და მთავარსარდლის მიმართ. აი, ეს არის თქვენი ევროპული ფასეულობა. თქვენი ხელისუფლების პერიოდში 140 სოფელი რომ დაიკარგა, ამბობდით, „მერე რა მოხდაო“, „სოხუმი არასდროს იყო საქართველოს შემადგენლობაშიო“. თქვენ უკრაინელ ხალხზე კი არ შეგტკივათ გული – ეს არის სიყალბე. თქვენ ამ თემით თამაშობთ და სპეკულაციებს ეწევით. არ გაინტერესებთ უკრაინა, რადგან თქვენ საკუთარი სამშობლოს და საკუთარი ხალხის ბედი არ გაინტერესებდათ“, – მიმართა უმცირესობის წევრებს ეკა ბესელიამ. (ინტერპრესნიუსი)

## სასჯელაღსრულების გაწვევით, სამხედრო-საკონტრაქტო ვადა მცირდება




ვადიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გაწვევით, 18-თვიანი სამსახურის ნაცვლად, 12-თვიანი ვადა დგინდება. ვადის 12 თვემდე შემცირების ინიციატივით პარლამენტს სოზარ სუბარის უწყებამ მიმართა.

„ამ ეტაპზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, შესაბამისი ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს გაწვევით ვადიან საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის იმ ოდენობის ანაზღაურების შეთავაზებას, რომელიც მათ შეუქმნიდა არასაკონტრაქტო მოსამსახურისგან განსხვავებულ პირობებს და გაზრდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 18-თვიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გავლის მსურველ პირთა რიცხვს. 18-თვიანი ვადის არსებობის შემთხვევაში, გართულდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გაწვევით ვადიანი საკონტრაქტო მოსამსახურეების თავმოყრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის დადგინდეს 12-თვიანი სამხედრო სამსახურის ვადა“, – განმარტავს სამინისტრო. (ინტერპრესნიუსი)

## კუკავა გარემოს დაცვის კომისიის სხდომის მოწვევას მოითხოვს



პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი, კახა კუკავა თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარეს კახაბერ ფირუაშვილს კომისიის საჯარო სხდომის მოწვევის მოთხოვნით მიმართავს.

„თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარეობს არაერთი სადავო მშენებლობა და დაინტერესებული პირები (გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, მომიჯნავედ მცხოვრები მოსახლეობა და ა.შ.) ვერ ახერხებენ მშენებლობის შეჩერებას სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. აღნიშნული მიზეზების გამო, გთხოვთ, 12 მარტს, 12:00 საათზე მოიწვიოთ თქვენი კომისიის საჯარო სხდომა, რომელზეც ვიმსჯელებთ, შემდეგ ობიექტებზე მიმდინარე მშენებლობების მიზანშეწონილობაზე:

1. თბილისში, ასათიანის №10-ში მიმდინარე მშენებლობაზე;
2. თბილისში, კუს ტბის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობაზე (რესტორანი მწვანე ზონაში);
3. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №15-ში მიმდინარე გაზგასამართი სადგურის მშენებლობაზე (საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ);
4. თბილისში, დიდ დიღომში, გ. ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების კვეთაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობაზე (სკვერში, ასევე საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ);
5. თბილისში, პეკინის №4-ში მდებარე სკვერში მიმდინარე მშენებლობაზე;
6. თბილისში, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე;
7. წავკისის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობაზე“, – ნათქვამია კახა კუკავას მიმართვაში. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# რას მოითხოვს და რისთვის აშანტაჟებს გიგა ბოკერია ევროკავშირის ელჩს, ფილიპ დიმიტროვს?!



„ალია“ „ნაციონალების“ მიერ გადაბირებული გავლენიანი უცხოელების შესახებ ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში წერდა. მაშინ საუბარი იყო ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე საქართველოში, ფილიპ დიმიტროვზე, რომელიც ხელიდან არასოდეს უშვებს მომენტს, ჭკუაზე არ დაგვარიგოს... ის ყოველთვის შეგვახსენებს, რომ გეიქორწინების ლეგალიზებას არავინ გვაძალებს, მაგრამ ევროკავშირში მოსახვედრად ამას მაინც ვერ ავცდებით და უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს დანაშაული არ არის. სწორედ ამ განცხადების შემდეგ იყო, რომ „ალიას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაუკავშირდა და განუცხადა, დიმიტროვი თავად არის ჰომოსექსუალი და მას შემდეგ, რაც „ნაციონალებმა“, თავის დროზე, ფარულად გადაუღეს ვიდეო, მთლიანად აკონტროლებენ და მეტიც, გიგა ბოკერია თავის ჭკუაზე ატრიალებსო. ფაქტია, ფილიპ დიმიტროვი ყოველთვის ესარჩლება „ნაციონალებს“ და ის აშკარად გამოექომაგა გიგი უგულავასაც, როდესაც თბილისის მერის თანამდებობიდან გამოაბუნძულეს. დიმიტროვის თქმით, არჩეული მერის გადაყენების ფაქტი შესასწავლია, ეს მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურით უნდა მომხდარიყო.

როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ევროკავშირის ელჩი თავის სეხნია ლეფორის განცხადებასაც გამოეხმაურა (ცხინვალში ჩასულმა ლეფორმა განაცხადა, ქართველები ამ რეგიონის დაკარგვას უნდა შეეგუოთ, სამხრეთ ოსეთის სტატუსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, რესპუბლიკის ხალხის მიერ დიდი ხანია განსაზღვრულიაო) და პირიც მოსწმინდა:

„ეს იყო მეგობრული სადილი. რა თქმა უნდა, მოხდა ამ თემის კომენტირება. იყო საუბარი იმაზე, როგორ ხდება ადამიანების ფრაზების არასწორი გაგება. რა თქმა უნდა, ყველას გვესმის, რომ ლეფორს არაფერი უთქვამს იმ მიმართულებით, როგორც ეს ზოგიერთმა სააგენტომ გაავრცელა“.

ეს კიდევ არაფერი, იგივე ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ამჯერად „ნაცების მიერ დაშანტაჟებულ და მათ მიერ კონტროლირებად ფილიპ დიმიტროვს გიგა ბოკერია კიდევ ერთხელ დამუქრებია, ვანო მერაბიშვილის მიერ გადაღებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეო-მასალებს გამოგიქვეყნებთ, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ დაგვეხმარებიო. არადა, თურმე „ნაციონალებს“ მართლაც აქვთ ვიდეოფირები, სადაც კარგად ჩანს დიმიტროვის ვნებები. ბუნებრივია, თუ ბოკერიებმა თავზე ხელი აიღეს და ყველაფერი გამოაქვეყნეს, ეს არა მხოლოდ ელჩის დისკრედიტაციას გამოიწვევს, არამედ მის გაქრობასაც. ბოკერიამ დიმიტროვს მოსთხოვა, რომ ევროპიდან ვანო მერაბიშვილისა „ნაციონალების“ სხვა გახმაურებულ სასამართლოებზე ევროპიდან ჩამოყვანოს ისეთი დამკვირვებლები, რომლებიც შემდეგ დიმიტროვის კარნახით დაწერენ უარყოფით დასკვნებს. თურმე გიგა ბოკერია ასევე აიძულებს დიმიტროვს, თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე ჩამოიყვანოს ისეთი დამკვირვებლები, რომლებიც დაწერენ ასევე კრიტიკულ დასკვნებს. ვანოს მიერ გადაღებული კადრებიდან გამომდინარე, დიმიტროვი მუდმივი შანტაჟის ქვეშ იმყოფება და ხმას ვერ იღებს, ის იძულებით ასრულებს „ნაციონალების“ დავალებებს.

ვის სჭირდება ევროკავშირის წარმომადგენლობის ისეთი ელჩი, რომელსაც მუდმივად აშანტაჟებენ და საეჭვო ცხოვრებით ცხოვრობს? ვის სჭირდება ისეთი ელჩი, რომელიც ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს, თქვენ ბევრი ისეთი გამოწვევა გექნებათ იმ ადამიანებისგან, რომლებიც განსაკუთრებით საუბრობენ ქართულ ტრადიციებზე, ქართულ სტანდარტებზე, იმაზე, რამდენად გარყვნილია ევროპაო:

„იმისთვის, რომ მოხდეს ვიზის ლიბერალიზაციის გამარტივების შეთანხმება, თქვენ უნდა გქონდეთ რამდენიმე ნათლად გამოკვეთილი საკითხი. მათ შორის ერთ-ერთია შემდეგი – არ უნდა იყოს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომლებიც სხვებზე ახდენენ ზეწოლას, იმის გამო, რომ მათ აქვთ განსხვავებული რელიგია, განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები. არ უნდა იყოს ისე, რომ ადამიანებს ამის გამო ქვეყნის დატოვება მოუხდეთ“.

დაუკვირდით, ფილიპ დიმიტროვი ზუსტად ისე აზროვნებს, როგორც გიგა ბოკერია: ესე იგი, თურმე საქართველოში არსებობს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც ზეწოლას ახდენს განსხვავებულ რელიგიაზე, განსხვავებულ გემოვნებაზე (აქ ჰომოსექსუალიზმი იგულისხმება) და განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ეს უკვე არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო საქმეების განგებ არევაა, არამედ „ნაციონალების“ აშკარა მხარდაჭერაც.

რაღა დაგიმალოთ და... დიმიტროვმა ადვოკატ გოგა ონიანის დაკავების თემაზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლის დაკავება გარკვეულ კითხვებს ბადებს:

„მე პოლიტიკური პარტიების განცხადებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ყოველთვის, როცა არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლებს პასუხისგებაში აძლევენ, ჩვენ გვაქვს ეჭვები და შეკითხვები. კარგი იქნება, რომ ყველა მსგავს საქმეში საერთაშორისო დამკვირვებლები იყვნენ ჩართული“.

ისე, ძალიან მაგარია ჩვენი ჭკუაზე დამრიგებლების ლოგიკა: არჩევნების წინ დამნაშავეს ხელი არ უნდა ახლონ სამართალდამცავებმა, თუკი ის „ნაციონალია“ (სხვა პარტიების წევრობა არ ითვლება), თურმე ეს ეჭვებსა და შეკითხვებს ბადებს და მეტიც, ამ შემთხვევაში საქმეში უნდა ჩაერთოს რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი. აი, სწორედ ამაზე იყო საუბარი ცოტა ზემოთ, გიგა ბოკერია ფილიპ დიმიტროვს სთხოვს, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი ჩართოს დამნაშავე „ნაციონალების“ სასამართლო პროცესებში და, თავის მხრივ, დიმიტროვიც ამას დაჟინებით ითხოვს. ვიმეორებ: ვის რაში სჭირდება ევროკავშირის ელჩი, რომელიც „ნაციონალების“ მძევალია? არავის!

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტმა უკრაინის მოვლენებზე რეზოლუცია მიიღო




უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტმა უმრავლესობის რეზოლუციის პროექტს 74 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა. საპარლამენტო უმცირესობას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

რიგგარეშე სესიაზე რეზოლუციის ორ ტექსტს განიხილავდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ უმცირესობა და უმრავლესობა თავიდანვე ვერ შეთანხმდა პროექტის ტექსტზე, მათ სხდომაზე თავიანთი ვერსიები წარადგინეს. საბოლოოდ კენჭისყრის დროს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი 27 ხმით 6 წინააღმდეგ ჩავარდა.

როგორც რეზოლუციის ტექსტშია ნათქვამი, უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული აგრესიული ქმედებები, მათ შორის, უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო შენაერთების გამოყენება ორმხრივი ხელშეკრულების პირობების დარღვევით და ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მუქარა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინას, არამედ საქართველოსა და მთელ ევროპას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი:

1. გამოხატავს სრულ მხარდაჭერას თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ევროპული არჩევანისა და უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.
2. გადაჭრით გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალისმიერ და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და ორმხრივი შეთანხმების დარღვევით განხორციელებულ სხვა ქმედებას.
3. მიმართავს საქართველოს მთავრობას, გააგრძელოს კონსულტაციები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საჭიროების შემთხვევაში ქმედითი ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს მოძმე უკრაინელ ხალხს.
4. მიმართავს საქართველოს მთავრობას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით უკრაინაში დაგეგმილ სამშვიდობო, სადამკვირვებლო და ჰუმანიტარულ მისიებში.
5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს უკრაინის ტერიტორიიდან ყველა სამხედრო შენაერთი, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების დარღვევით იმყოფება ქვეყანაში და შეწყვიტოს უკრაინის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება.
6. მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, პირველ რიგში, ევროპის კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიიღონ ქმედითი პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური ზომები უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, რუსეთის ფედერაციის აგრესიისგან უკრაინის დასაცავად, შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად.
7. მხარს უჭერს უკრაინის უმაღლესი რადის მიერ უკრაინის უსაფრთხოების გარანტორ სახელმწიფოთა პარლამენტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვაში ჩამოყალიბებულ სულისკვეთებას, მათ შორის ვითარების დეესკალაციის მიზნით მოლაპარაკებებისთვის საგანგებო ჯგუფების შექმნის თაობაზე.
8. მოუწოდებს ევროკავშირსა და ნატოს, დააჩქაროს ამ ორგანიზაციებში ყველა იმ ქვეყნის ინტეგრაციის პროცესი, მათ შორის საქართველოსი, რომლებიც ამისთვის მზად არიან და რომელთა თავისუფალ არჩევანს სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. (ინტერპრესნიუსი)

## სერგეენკო უკრაინელ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა



ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო უკრაინელ კოლეგას, ოლეგ მუსის ტელეფონით ესაუბრა. სამინისტროს ცნობით, ოლეგ მუსის საქართველოს ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელმა, კიდევ ერთხელ დაუდასტურა მზადყოფნა სამედიცინო და ჰუმანიტარული მიმართულებით დახმარების შესახებ. ოლეგ მუსიმ მადლობა გადაუხადა ქართველ კოლეგას მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, ქვეყანაში მედიკამენტების, სახარჯი მასალისა და სამედიცინო პერსონალის საკმარისი რაოდენობაა.

„უკრაინაში განვითარებული მოვლენების დაწყებისთანავე, იყო მუდმივი კომუნიკაცია საქართველოსა და უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროებს შორის. ქართული მხარე კვლავ მზადყოფნას გამოთქვამს მეგობარი სახელმწიფოსთვის ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ალია

**„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძე საქართველოს ხელისუფლებას ეკითხება, იანუკოვიჩი თუ ბანდიტია და ანგარიშებს უყინავენ, სააკაშვილი და მისი მაღალჩინოსნები არ არიან? მისი თქმით, „სააკაშვილი, კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები თავისუფლად დანავარდობენ და დროსტარებაში ფლანგავენ მოპარულ მილიარდებს, ხელისუფლება კი მიზანმიმართულად, საკუთარი გამორჩენის მიზნით ხელს აფარებს წინა ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნებს და ამას უწოდებს კოჰაბიტაციას“.**

**„ალიას“ ესაუბრება ალეკო შალამბერიძე:**




# თუკი დასავლეთმა იანუკოვიჩის ანგარიშები დააყადაღა, რატომ არ აყადაღებენ სააკაშვილის, ინტერპოლით ძებნილი კეზერაშვილისა და ადეიშვილის ანგარიშებს?

– დღეს ხელისუფლებას წარმოუდგენია, თითქოს სხვა ადამიანები არიან, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება, ქართველი ხალხის ნება აღასრულონ. 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს გამარჯვებულმა „ქართული ოცნების“ პარლამენტმა შეძლო მთავრობის ფორმირება, მათ შორის პროკურატურის ფორმირება და შესაბამისად, თუკი იქნება ნება, არც ის გაუჭირდებათ, რომ დღის წესრიგში დააყენოს ყოფილი ჩინოვნიკების ქონების დაყადაღების საკითხი. მთელი ბერკეტები, რაც არსებობს, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია. ასე რომ, ხელისუფლების შტოების გაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად, ეს არის ჩვენი მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

„ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან იპარავდა თანხას, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საკითხი შესაბამის ორგანოებში, მაგალითად, ევროპის სასამართლოში, რომ მოხდეს მათი საბანკო ანგარიშების დაყადაღება. ნუ გაურბიან პასუხისმგებლობას. პარლამენტია პასუხისმგებელი იმაზე, რომ დღეს არ არიან დაკავებული ეს პირები, არ არის აღძრული საქმე ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებით და არ არის გაყინული მათი ანგარიშები. კეზერაშვილი პარიზში ცხოვრობს, ადეიშვილი – ბუდაპეშტში, სააკაშვილი აქეთ-იქით დარბის და ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქეები კი ნაგვის ურნებში იქექებიან და საკვებს ეძებენ. ხელისუფლებას არ სურს დღეს, რომ ეს საკითხი წამოსწიოს, სამაგიეროდ რაღაც მაქინაციებით ცდილობს, გადაიბაროს ის ბიზნესები, რაც წინა ხელისუფლების უმაღლეს პირებს ჰქონდათ და ეს გაამართლოს კოჰაბიტაციით. ის, რისთვისაც ქართველმა ხალხმა აირჩია „ქართული ოცნება“, ვგულისხმობ ელიტარული კორუფციისა და მოპარული თანხების გამოაშკარავების თემას, გადასწიოს უკანა რიგებში. ამ საკითხს ჩვენ წამოვწევთ და მივიყვანთ კიდეც ბოლომდე.

**— კონკრეტულად რა ქმედებებს განახორციელებთ?**

– ბუნებრივია, რომ გაერთიანება აუცილებელია, რათა ერთობლივი ძალებით არასაპარლამენტო ოპოზიციამ დაიწყოს ამ პრობლემებზე მუშაობა. ძალა ერთობაშია და რა თქმა უნდა, ერთობლივი ბრძოლით მეტი შედეგი მიიღწევა ყოველთვის. ჩვენი არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება იქნება როგორც წინასაარჩევნო ფორმატი, ასევე ფორმატი იმისთვის, რომ ყველა ის უბედურება, რაც ხდება, გამოვააშკარაოთ და მოვთხოვოთ ხელისუფლებას, გაყინოს ყოფილი ჩინოვნიკების ანგარიშები.

გარდა ამისა, დაწყებული გვაქვს მუშაობა, რომ გამოვააშკარაოთ ახალი ხელისუფლების მიერ ბიზნესების გადაბარება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. მაგალითად, როგორ მიმდინარეობს ბენზინის, შუშის და ქათმის ბიზნესის გადაბარება.

**— ამ ყველაფერს დოკუმენტებით გაასაჯაროებთ?**

– დოკუმენტების მოძიება ძალიან რთულია, მით უმეტეს, როდესაც სახელისუფლებო ბერკეტები არ გაგაჩნია, თუნდაც ადგილობრივი ხელისუფლების პირობებში. რა თქმა უნდა, ვცდილობთ, მოვიძიოთ დოკუმენტები, რომ გავასაჯაროოთ. ამიტომაც არის საჭირო გაერთიანებული ძალებით მუშაობა. თუმცა ჩვენი მთავარი სამუშაო იქნება იმ კუთხით, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და საზოგადოების აზრის ფორმირება მოვახდინოთ იმ კუთხით, რომ გაჩნდეს საზოგადოებაში მოწოდებები და მოთხოვნა, დაყადაღებულ იქნას სააკაშვილის, მერაბიშვილის, უგულავას, ადეიშვილისა და კეზერაშვილის ანგარიშები.

**დაინტერესდება თუ არა ხელისუფლება ყოფილი მაღალჩინოსნების საბანკო ანგარიშების გაყინვის თემით?**

**„ალია“ კომენტარისთვის საპარლამენტო უმრავლესობის წევრს ზაქარია ქუცნაშვილს დაუკავშირდა:**

– პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აქვს სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა, ამას ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, რომ გაიყინოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ანგარიშები, სხვადასხვა ბანკებში საჭიროა იურიდიული წანამძღვრები, რომელიც არის სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლის კანონიერებაც დაკანონებული იქნება სასამართლოს ბრძანებებით. სასამართლოს ბრძანებებით უნდა იყოს უზრუნველყოფის ღონისძიებები სისხლის სამართლებრივი დევნისთვის. უზრუნველყოფის ღონისძიებებში შედის ანგარიშებისა და უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღება. სასამართლოში ამ ყველაფერს თავისი წანამძღვრები აქვს, რაც დღეს არ არსებობს.

**— თქვენი პირადი აზრი როგორია, უნდა დაყადაღდეს?**

– ...

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტიქიით დაზარალებულ აჭარელებს კახეთსა და ქვემო ქართლში დაასახლებენ




ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, დავით დარახველიძის განცხადებით, მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულებს კახეთსა და ქვემო ქართლში დაასახლებენ.

„მთავრობამ მოიწონა საგრანტო ხელშეკრულება შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან, რომლის თანახმადაც, 700 ათასი შვეიცარული ფრანკი დაიხარჯება მაღალმთიანი აჭარის, ხულოს სოფელ პანტიანიდან სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახის კახეთსა და ქვემო ქართლში განსახლებისთვის, ასევე, სტიქიისა და მეწყრის შედეგად დაზარალებული მესტიის რაიონის მოსახლეობის განსახლებისთვის“, – განაცხადა დარახველიძემ.

გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტრომ თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე მდებარე რამდენიმე შენობა გამოისყიდა, სადაც დევნილები არიან შესახლებული. მინისტრის თქმით, 21 ოჯახს აღნიშნული ფართობები სულ მალე საკუთრებაში გადაეცემა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსებმა ყირიმში სამ სამხედრო ნაწილზე ბლოკადა მოხსნეს



ყირიმის დასავლეთით მდებარე სამ სამხედრო ნაწილზე, რუსმა სამხედროებმა ბლოკადა მოხსნეს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ვლადისლავ სელეზნიოვის განცხადებით, ნაწილობრივ განთავისუფლდა „ბელბეკის“ აეროპორტიც, სადაც ამ დროისთვის ავტომატებით შეიარაღებული ოცამდე პირი რჩება, რომლებიც თავს უკრაინული ავიაბაზის მოსამსახურეებად ასაღებენ.

სააგენტო ჲუნიან-ის ინფორმაციით, რუს სამხედროებს კვლავ ბლოკირებული აქვთ ქერჩისა და ფეოდოსიის საზღვაო ბატალიონები. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში შუახნის მამაკაცს მატარებელი დაეჯახა

თბილისში, ფეიქრების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამგზავრო მატარებელი შუახნის მამაკაცს დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი, ლიანდაგებთან იდგა და ახლობელს აცილებდა, რა დროსაც მატარებელი დაეჯახა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია. (ინტერპრესნიუსი)



## ბურჯანაძე დიპლომატებთან შეხვედრებს განაგრძობს




ნინო ბურჯანაძე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს განაგრძობს. „დემოკრატიული მოძრაობის“ ცნობით, ბურჯანაძე საბერძნეთის, შვეიცარიისა და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს ხვდება.

„საუბრის ძირითადი თემაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ამ მიმართულებით ხელისუფლების უუნარო პოლიტიკა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორია ყოველდღიურად პატარავდება“, – აღნიშნულია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში. მათივე ცნობით, შეხვედრებზე განსახილველი უმთავრესი საკითხია „ქვეყანაში ჩამოყალიბებული აშკარად უსამართლო საარჩევნო გარემო“. (ინტერპრესნიუსი)

## გასაოცარი და სასარგებლო აღმოჩენები... ჯიბეებში



თურმე, ძველ რომში, მამაკაცებს სახლის გასაღებები ქამარზე ან კისერზე ჰქონდათ ჩამოკიდებული, შარვლებს ჯიბეები არ ჰქონდა და იმიტომ (სასახლეები კი ჰქონდათ, ჩემო ბატონო, მაგრამ ჯიბეები – არა!). აი, ანტიკურ საბერძნეთში კი ერთი პერიოდი ძალიან მცირე ზომის ოქროს მოტენა იყო მიმოქცევაში, რომელიც ჯიბეში ძალიან ადვილად იკარგებოდა. ამის გამო, ბერძნები ოქროს მონეტას... პირით დაატარებდნენ...

– 1853 წელს ოქროს მაძიებელი, საკმაოდ უცნაური ადამიანი ელკელ აიკი ოქრომჭედელთან მივიდა და სთხოვა, პატარა ლურსმნებით მის შარვალზე... ჯიბეები გაემაგრებინა. ეს იდეა შემდგომში უფრო დაიხვეწა და დღეისთვის ყველა ჯინსის ჯიბეზე პატარა ლითონის დეტალები სწორედ ამ ადამიანის გამჭრიახობის წყალობით მაგრდება, რაც ჯიბეს უფრო გამძლეს ხდის.

– ცნობილი არქეოლოგი ჰენრიხ შლიმანი (აი, ის, ტროას რომ მიაგნო) ძალიან ექსცენტრიკული ადამიანი ყოფილა. ერთხელ, როცა მისი ვაჟის ნათლობა მიმდინარეობდა, შლიმანმა ისეთი რამ გააკეთა, რამაც მღვდლის სერიოზული აღშფოთება გამოიწვია. კერძოდ, მან ჯიბიდან თერმომეტრი ამოიღო, რომელსაც მუდმივად თან დაატარებდა და ნაკურთხ წყალში ჩაყო. მღვდელი ნათლობის რიტუალის გაგრძელებას მხოლოდ შლიმანის ცოლის ხვეწნა-მუდარის შემდეგ დასთანხმდა.



– ერთმა ინჟინერმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს რადარების შექმნაზე მუშაობდა, როგორღაც, აქტიური რადარის ახლოს გაიარა, ამ დროს ჯიბეში ხელი ჩაიყო და გონებაც გაუნათდა – გამოიგონა მოწყობილობა, რომელმაც მას მილიონები მოუტანა. რადარის დასხივების შედეგად, ინჟინერს ჯიბეში შოკოლადი დაუდნა და მან მიკროტალღური ღუმელი გამოიგონა.

– იყო დრო, როცა მე-18 საუკუნეში ექიმები ბევრს ბჭობდნენ, რა უნდა ჩაედოთ ჯიბეში, როცა ისინი პაციენტის ორგანიზმიდან შარდის ბუშტის ამოჭრის ან ტყვიის ამოცლის ოპერაციისთვის მიდიოდნენ. უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო, ქირურგს ჯიბეში ისეთივე საგანი შეენახა, რომლის ამოჭრასაც აპირებდა, რათა წარუმატებლობის შემთხვევაში, პაციენტისთვის რამე ეჩვენებინა და ამით პრობლემებს გადარჩენოდა.

– ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტი დეილ კარნეგის ერთ-ერთი რჩევაა: „თუკი სულით დაეცით და ორატორული ხელოვნების დაუფლებისთვის ბრძოლის შეწყვეტას აპირებთ, სცადეთ და ჯიბიდან 5-დოლარიანი ბანკნოტი ამოიღეთ“... (რათა სასოწარკვეთილმა ადამიანმა ლინკოლნის პორტრეტს შეხედოს, რომელიც როგორც ცნობილია, ბრწყინვალე ორატორი იყო).



– ბევრი ცნობილი მოთამაშე ამჩნევდა კავშირს თავის დამოკიდებულებას ფულთან მიმართებაში და ფორტუნას შორის. მაგალითად, ცნობილია, რომ, როცა ცნობილი რუსი პოეტი და პუბლიცისტი, ნიკოლაი ნეკრასოვი, რომელიც აზარტული თამაშების მოყვარული გახლდათ, სათამაშოდ მიდიოდა, ფულის ნაწილს ცალკე ჯიბეში ინახავდა. ნეკრასოვი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო ამ ფულთან ისე მოქცევა, თითქოს, ის აღარ არსებობდა.

– ზოგჯერ ალპინისტები, რომლებიც შორეულ ექსპედიციაში მიდიან, ჯიბეში ძეხვის ნაჭერს იდებენ, რათა უბედურების შემთხვევაში, ისინი ძაღლებმა უფრო ადვილად იპოვონ.

***uralweb.ru***

## მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალის ორგაზმი 16 საათს გრძელდებაო



ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მეცნიერებმა იმის დადგენა შეძლეს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალის ორგაზმი, საშუალოდ, 16 საათს გრძელდება, ხოლო 9 თვეზე მეტი მშვენიერ სქესს რეცხვასა და ტანსაცმლის უთოობაში ეხარჯება.

ასეთი დასკვნები გერმანელმა მეცნიერებმა მათემატიკური გამოთვლების დახმარებით გამოიტანეს.

როგორც ირკვევა, კვლევები ეფუძნება ფაქტორებს, რა დროს უთმობს ადამიანი ყოველდღიურად კონკრეტულ საქმიანობებს.

კერძოდ, დადგინდა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები საშუალო 78 წლის სიცოცხლის მანძილზე 2 კვირას ლოცვებს უთმობენ, 6 თვეს მოგზაურობა-მგზავრობას, 5 წელს ჭამა-სმას, 24 წელსა და 9 თვეს კი – ძილს.

რაც შეეხება სექსს, ამ შემთხვევაში, საუბარია 16-საათიან ორგაზმზე და 6-კვირიან ეროტიკულ პრელუდიაზე. გეთანხმებით, ძალიან ცოტაა...

***aif.ru***

## ვენერიულ დაავადებებთან უფრო ეფექტური ბრძოლისთვის თხევადი პრეზერვატივი გამოიგონეს



ამ ცოტა არ იყოს უჩვეულო გამოგონების ავტორები ამტკიცებენ, რომ თხევადი პრეზერვატივი რეზინისაზე ბევრად სანდოა და გაცილებით უკეთ შეუძლია წყვილის როგორც არასასურველი ფეხმძიმობისგან, ისე ვენერიული დაავადებებისგან დაცვა, თუმცა ერთი შეხედვით, ის შედარებით მოუხერხებელია გამოყენებაში. კერძოდ, აქტის წინ მამაკაცმა უნდა დაისხას სითხე, შემდეგ „ის“ შეყოს სპეციალურ ფორმაში, დააჭიროს ღილაკს, რასაც შესაბამისი რეაგირება და სითხის გამყარება მოსდევს.

ეს ყველაფერი კარგი, დაცვა აუცილებელია სექსის დროს, ამაზე არ ვდავობთ, მაგრამ სანამ მამაკაცი ამ პროცედურებს ჩაიტარებს, ვირი ხეზე ავა, ჩამოვა, მერე ლაპარაკსაც ისწავლის...

რამდენად მოიპოვა პოპულარობა თხევადმა პრეზერვატივმა, არ ზუსტდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის ჯერჯერობით მხოლოდ თეთრი ფერისაა, შემდგომში კი ფერთა გამა აუცილებლად მრავალფეროვანი გახდება.

– ვისაც სურს საკუთარ ჯანმრთელობაზე მაქსიმალურად ზრუნვა, თხევადი პრეზერვატივი სწორედ მისთვისაა, – განმარტავენ ამ ცოტა არ იყოს უჩვეულო გამოგონების ავტორები.

***kp.ru***

## ლუჩია სარატე – მსოფლიოს ყველაზე გამხდარი ქალი



ქალი კი არა, საერთოდ, ცოცხალი ადამიანია ამ ფოტოზე აღბეჭდილი?! როგორც ჩანს, სამწუხაროდ, მართლაც ადამიანია, თანაც ქალი და სტატუსიც აქვს ყველასგან გამორჩეული – მსოფლიოში ყველაზე ყველაზე ყველაზე გამხდარი.

მექსიკის ქალაქ სან-კარლოსის მკვიდრი ლუჩია სარატე ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ყველაზე გამხდარ ქალად დაასახელეს, თუმცა ასეთი „აღიარება“ მან მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მოიპოვა.

როგორც ირკვევა, ლუჩია სარატე 1963 წელს დაიბადა და 17 წლის ასაკში ის სულ რაღაც 2130 გრამს იწონიდა, სიმაღლეში კი 63 სანტიმეტრი იყო.

ასეთი სიმაღლისთვისაც კი 2130 გრამი ანომალიური მოვლენაა. ექიმები და ასევე, გოგონას მშობლები უსაზღვროდ შეშფოთებულები იყვნენ და გადაწყვიტეს, ის უმკაცრეს მაღალკალორიულ დიეტაზე დაეჯინათ, რათა წონა მომატებოდა.

3 წლის მანძილზე ლუჩია ექიმების საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ სპეციალური პროგრამის მიხედვით იკვებებოდა. შედეგად, 20 წლის ასაკში მან „წონაში“ მოიმატა და 6-კილოგრამიან ზღვარს გადააბიჯა.

სტატისტიკის მიხედვით, წონის ასეთი მაჩვენებელი მამაკაცებს შორის არასოდეს დაფიქსირებულა. კერძოდ, ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე გამხდარი მამაკაცი მე-18 საუკუნეში, ინგლისში ცხოვრობდა – 8 წლის ასაკში მისი წონა 8600 გრამს შეადგენდა და ლუჩიას მსგავსად, ერთ მეტრზე დაბალი იყო.

***tainamira.ru***



## ამერიკელები საქორწინო კაბებს ტუალეტის ქაღალდისგან კერავენ

თავად ამბობენ, ძალიან პრაქტიკულია ასეთი კაბებიო, თუმცა აღარაფერს აზუსტებენ, ალბათ, მომხმარებელმა დასკვნა დამოუკიდებლად უნდა გამოიტანოს. მაგალითად, პირველ ღამეს შეიძლება გამოდგეს, ან სადილის დასრულების შემდეგ...

ასეა თუ ისე, ტუალეტის ქაღალდისგან ამერიკელებმა საქორწინო კაბები შეკერეს და კონკურსიც ჩაატარეს, ყველაზე ლამაზის გამოსავლენად.

ტუალეტის ქაღალდის გარდა, კონკურსის მონაწილეებს უფლება ჰქონდათ, გამოეყენებინათ სხვადასხვა სახის წებო, წებოიანი ლენტები, რაღა თქმა უნდა, ძაფი და ასე შემდეგ.



პირველი ადგილის მფლობელი მიჩიგანის შტატის წარმომადგენელი სიუზენ ბრენანი გახდა, რომელმაც საქორწინო კაბის შექმნას ტუალეტის ქაღალდის ოთხი რულონი დაახარჯა. პრიზად მას 1000 აშშ დოლარი გადაეცა.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ტუალეტის ქაღალდისგან შექმნილი საქორწინო კაბების კონკურსი უკვე მეშვიდე წელია ტარდება და მასში ასობით ადამიანი მონაწილეობს.

***gazeta.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03








1. მამლის ჯიღა
2. მხატვარი ალბრეხტ ...
3. სპორტ. ინვენტ. ფირმა
4. მწერალი თომას ... რიდი
5. დედამიწის აირის გარსი
6. გურული მრავალხმიანი სიმღერა
7. გმირი ... ჩოლოყაშვილი
8. გიგანტური ხე სავანაში
9. იგი მრიცხველიდან ჩვენებას იღებს
10. დაბა ... გრუზინსკაია
11. პრეზიდენტი ... ობამა
12. ვაჟა-ფშაველას პოემა
13. გემის მოძრავი კიბე
14. აბუ ალი ... სინა (ავიცენა)
15. მოედანი ძველ თბილისში
16. მსახიობი ჯულია ...
17. პლაჟი მაგნიტ. ქვიშით საქართველოში
18. ბოსტნეულით დათესილი ადგილი
19. ნივთიერება თამბაქოში
20. საუბარი, ანუ ...
21. ქალაქი აშშ-ში ნიუ-...
22. თმის საშრობი ხელსაწყო
23. ფეხბურთელი გივი ...
24. სახელდახელო ფიცრული
25. თურქეთის დედაქალაქი
26. მსახიობი ... ციციშვილი
27. წვრილი ძეხვეული
28. ... გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია
29. მოყავისფრო ჭრელი
30. ... ამდგარსა კურდღელსა
31. თმის წითელი საღებავი
32. რუსი კომპოზიტორი
33. ოცკაპიკიანი ძველად
34. ბულგარული ყველი
35. მთიდან დაშვებული თოვლი
36. მამალი კვიცი
37. ვულკანი სიცილიაზე
38. უსინათლოთა ანბანი
39. მხატვარი სალვადორ ...
40. პარკოსანი მცენარე
41. „მიმინო“ ვალიკო ...
42. დუმფარა ... რეგია
43. „გმირთა ვარამი“ მწერალი
44. ფრინველი სავანაში
45. ხანა, ეპოქა
46. ხინჯი, ზადი
47. კრილოვი. „მგელი და ...“
48. ბურუსი, ნისლი
49. მერცხლის ხმიანობა
50. მტაცებელი თევზი
51. ნაშიერის მომლოდინე საქონელი
52. „... კაცსა ავი სიტყვა“
53. ირანში: ... ჰომეინი
54. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
55. მომღერალი ... ჯოხაძე
56. მსახიობი ... ბალოკი
57. შეძახილი ტკივილისას
58. შინაური ფრინველი
59. ჭრილობა
60. აფთიაქების ქსელი თბილისში
61. ბარაქა
62. საქონლის გულღვიძლი
63. ცვილის ფიგურებ. მუზეუმის დამაარს.
64. ორმაგკედლებიანი ჭურჭელი, ინახავს ტემპერატურას
65. ძვირფასი წითელი ქვა
66. კუზიანი ნოტრდამიდან
67. ადგილი შუბლთან
68. შინაგანი „მე“
69. მოღრნებლი ცხოველი
70. სინთეზური ქსოვილი
71. ვისაც წერილს უგზავნიან
72. ჟოფრეი: რობერ ...
73. იგი კასრში ცხოვრობდა
74. მან წამოიძახა „ევრიკა“
75. თურქული წითელი ქუდი
76. ტყუილი გარჯა
77. მადონა ფილმში „დიკ ...“
78. მთაგრეხილი
79. მთიდან არეკლილი ხმა
80. ესპანეთის დედაქალაქი
81. საჰაერო ნავიგაცია
82. ორადგილიანი ველოსიპედი
83. პედლებით სამოძრაო ტრანსპორტი
84. რეჟისორი ... კუროსავა
85. რეჟისორი ... ფორმანი
86. ... მურომეცი
87. მსახიობი ... მური
88. თამაშში: არჩევანი და ...
89. მსახიობი ... ჰარისი
90. ძიძე, რომელიც გვარშია დასმული
91. ცხენირემი
92. გველების აკვარიუმი
93. მსახიობი ... პარადი
94. ჰეკლბერი ფინი და ტომ ...
95. „ბეჭდების მბრძანებელი“ ავტორი
96. ... დაიჭირავს სიკვდილსა
97. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
98. ებრაელთა სასულიერო პირი
99. მსახიობი ბრიჯიტ ...
100. სასეირნო გემი
101. პინოქიოს ავტორი
102. თეთრი მინერალი, წერენ დაფაზე
103. ფარდაგი
104. ბზრიალა
105. ჟელატინიანი ტკბილეული
106. ქვის სამარხი
107. რაგბიში გატანილი ბურთი
108. კომპოზიტორი არჩილ ...
109. ბეკარი, ბემოლი და ...
110. ესკიმოსების ნავი
111. ვაჟიშვილი
112. ავსტრალიური ველური ძაღლი
113. გამოძიების ერთ-ერთი გზა
114. არაქათი, ქანცი
115. ყვავილი
116. მტირალა „ხე“
117. ... მწამს, ბოლო მაკვირვებს
118. ტიბეტური ხარი
119. რელიქტური ცხოველით ცნობილი ტბა შოტლანდიაში ლოხ-...
120. გაზი, ანუ ...
121. სპორტ. შეჯიბრის დასასრული
122. კენიის დედაქალაქი
123. კვერცხის თეთრი შიგთავსი
124. სახოტბო ლექსი
125. ცხენბურთი
126. შხამიანი გველი უდაბნოში
127. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
128. კომბლეს ძროხა
129. მუშტი, ანუ ...
130. მხედველობა, ანუ ...
131. გამხმარი ხილი
132. ენა, ..., სარწმუნოება
133. აკაკი წერეთლის ლექსი
134. სახელმწიფო ევროპაში
135. „... ვხედავ მზეს“
136. გასაღები
137. „ვერის უბნის მელოდ.“ პოლიციელი
138. მსახიობი ... კერტისი
139. ვერნი. „საიდუმლო ...“
140. ვოლფ-განგ ... მოცარტი
141. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფ.
142. შინაური ცხოველი
143. პარფიუმ. ფირმა „...-პარი“
144. ჩვილი ბავშვი
145. ზამბახი
146. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
147. მსახიობი ვივიენ ...
148. გადია
149. ბრტყელი მრგვალი პური
150. მოუხარშავი
151. ადამის მეუღლე

პასუხები: 1. ბიბილო; 2. დიურერი; 3. ‘ნაიკი“; 4. მაინ; 5. ატმოსფერო; 6. კრიმანჭული; 7. ქაქუცა; 8. ბაობაბი; 9. ინკასატორი; 10. ნია; 11. ბარაკ; 12. ბახტრიონი; 13. ტრაპი; 14. იბნ; 15. მეიდანი; 16. ორმონდი; 17. ურეკი; 18. ბოსტანი; 19. ნიკოტინი; 20. ბაასი; 21. იორკი; 22. ფენი; 23. ნოდია; 24. ხუხულა; 25. ანკარა; 26. ციცინო; 27. სოსისი; 28. რასაცა; 29. ჭროლა; 30. ადრე; 31. ინა; 32. ბოროდინი; 33. აბაზი; 34. ბრინზა; 35. ზვავი; 36. ურა; 37. ეტნა; 38. ბრაილი; 39. დალი; 40. ბარდა; 41. მიზანდარი; 42. ვიქტორია; 43. გოთუა; 44. მარაბუ; 45. ერა; 46. ნაკლი; 47. კრავი; 48. ჯანღი; 49. ჭიკჭიკი; 50. ზვიგენი; 51. მაკე; 52. ავსა; 53. აია; 54. ნემო; 55. ანრი; 56. სანდრა; 57. ვაი; 58. ქათამი; 59. იარა; 60. ‘ავერსი“; 61. ხვავი; 62. ჯიგარი; 63. ტიუსო; 64. თერმოსი; 65. ლალი; 66. კვაზიმოდო; 67. საფეთქელი; 68. ეგო; 69. თრია; 70. ნეილონი; 71. ადრესატი; 72. ოსეინი; 73. დიოგენე; 74. არქიმედე; 75. ფესი; 76. ამაო; 77. ტრეისი; 78. ქედი; 79. ექო; 80. მადრიდი; 81. ავიაცია; 82. ტანდემი; 83. ველოსიპედი; 84. აკირა; 85. მილოშ; 86. ილია; 87. დემი; 88. არადანი; 89. ედ; 90. აპოსტროფი; 91. ლოსი; 92. ტერარიუმი; 93. ვანესა; 94. სოიერი; 95. ტოლკიენი; 96. ვერ; 97. ავლიპი; 98. რაბინი; 99. ბარდო; 100. იახტა; 101. კოლოდი; 102. ცარცი; 103. ნოხი; 104. ჩიკორი; 105. ზეფირი; 106. აკლდამა; 107. ლელო; 108. კერესელიძე; 109. დიეზი; 110. კაიაკი; 111. ძე; 112. დინგო; 113. ვერსია; 114. ილაჯი; 115. ია; 116. ტირიფი; 117. ფიცი; 118. იაკი; 119. ნესი; 120. აირი; 121. ფინიში; 122. ნაირობი; 123. ცილა; 124. ოდა; 125. პოლო; 126. ეფა; 127. აკოლადა; 128. ჭრელა; 129. მჯილი; 130. ჩინი; 131. ჩირი; 132. მამული; 133. ‘ღამურა“; 134. იტალია; 135. მე; 136. კლიტე; 137. შანშე; 138. ტონი; 139. კუნძული; 140. ამადეი; 141. ფრი; 142. თხა; 143. ისი; 144. ალუა; 145. ირისი; 146. მედინა; 147. ლი; 148. ძიძა; 149. ლავაში; 150. უმი; 151. ევა. იკითხება: ბუხარი. აივანი. ჭიშკარი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბოსტნეული
2. ბრედ პიტი ფილმში
3. მხ/ფ „... ჭაბუკი“
4. ნადირობა აფრიკაში
5. მომღერალი ... კალასი
6. სრუტე პა-დე-...
7. ის, ვინც სისხლს გასცემს
8. გაშიშვლება მუსიკის თანხლებით
9. მსახიობი ჟერარ ...
10. მსახიობი ... პაპანოვი
11. ანტიკური ეპიკური ნაწარმოები
12. შექსპირის ტრაგედია
13. გაზაფხულის თვე
14. მამლის ჯიღა
15. მსახიობი ... გიბსონი
16. შინაური ფრინველი
17. შტატი აშშ-ში
18. მწერალი ... მოემი
19. კოსტიუმირებული წვეულება
20. ბიჭუნა, იმგზაურა ბატებთან ერთად
21. მსახიობი ... ღაღანიძე
22. ხილი
23. ჯაზმენი ... კინგი
24. მეფის მრჩეველი
25. პოეტი ... ბარტო
26. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
27. კუდიანი ვარსკვლავი
28. მწერალი რეი ...
29. „... და ქილა ერბო“
30. შტატი აშშ-ში
31. არქიმედეს შეძახილი აბაზანაში
32. კავშირებითი სიტყვა
33. თავსამკაული
34. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
35. მსახიობი ... ნოლტი
36. წყლის შინაური ფრინველი
37. ტკბილი კარტოფილი
38. ზღაპარი „ექიმი ...“
39. „... დე ბერჟერაკი“
40. ქვიშა
41. მეზღაპრე ძმები ...
42. სანელებელი
43. მხედველობა
44. მხ/ფ „... ბალადა“
45. აზრი
46. მომღერალი ... მარტინი
47. სამკურნალო მცენარე
48. შტატი აშშ-ში
49. მსოფლმხედველობა
50. აფროამერიკელი
51. ინდური ტაძრის მოცეკვავე ქალი
52. ქართ. ანბანის ბოლო ასო
53. ბურღულეული
54. მწერალი ... ჩუკოვსკი
55. სადირიჟორო ნოტები
56. ახალი ზელანდიის მკვიდრი
57. შვედური ავტომობილი
58. ლენინის ფსევდო
59. ოპერა „სევილიელი ...“
60. მსახიობი ... ვენტურა
61. კათოლიკური სავალობელი
62. მაიმუნის სახეობა
63. ტროპიკული ბუზი
64. აკრძალვა ეპიდემიის დროს
65. მსახიობი ... კემპბელი
66. სამოთხის ბაღი
67. თურქეთის დედაქალაქი
68. მომღერალი ... მინოუგი
69. „მონსტრების ...“
70. ლაღიძის ოპერა
71. „... მიღმა გაზაფხულია“
72. თამაში ხის ჩაქუჩებით
73. პორტუგალიის დედაქალაქი
74. თამაში კიით
75. მსახიობი ... დალტონი
76. მსახიობი დონატას ...
77. მსახიობი ... კახიანი
78. მოსამსახურე
79. სამზარეულოს ჭურჭელი
80. შეზღუდული კვების რეჟიმი
81. ღვინო, ..., ქალები
82. მსახიობი ... ჟაკობი
83. ბარის პირით ამობრუნებული მიწა
84. ცხრა ძმა ...
85. ვეტერინარი, ანუ ...
86. ფიზიკოსი ისააკ ...
87. წყალქვეშა კლდე
88. დონ კიხოტის ცხენი
89. ჭრიჭინას ბებია
90. მკვეხარა
91. „მუმუ“ ავტორი
92. საოჯახო ელექტრ. ნივთი
93. შინაური ცხოველი
94. კოცნა
95. დროის მცირე მონაკვეთი
96. სირაქლემას სახეობა
97. ნაცია
98. მხ/ფ „... მცველი“
99. ქალაქი კლდეში გორთან
100. მხ/ფ „ტკბილი ...“
101. ქალაქი შიდა ქართლში
102. პოეტი ალექსანდრე ...
103. მიუსაფარი, უპატრონო
104. მსახიობი ანა ...
105. ექიმ აიბოლიტის ძაღლი
106. პარკოსანი მცენარე
107. ტაილანდის ძველი სახელწ.
108. მისი დედაქალაქია ტოკიო
109. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება
110. სინთეზური ბოჭკო
111. მდინარე კახეთში
112. კურკიანი ხილის ჩირი
113. კონტინენტი
114. მომღერალი ... რიდი
115. მსახიობი ... ვარდალოსი
116. ჯუჯა ცხენი
117. რძის პროდუქტი
118. მეცნიერება ადამიანის აგებულებაზე
119. ოდრი ტოტუ ფილმში
120. ომის ღმერთი ბერძ. მით.
121. მშვილდით სასროლი ჯოხი
122. პროლეტარიატის ბელადი
123. უანგარო შრომა
124. გერმან. ფულის ერთეული
125. მსახ. ... ბერიკაშვილი
126. ნიშნავს საწინააღმდეგოს
127. სახორცე ქათმის ჯიში
128. მსახ. ... უიზერსპუნი
129. მხ/ფ „... ადამიანი“
130. მომღერალი ... ხუციშვილი
131. მსახიობი ... ფიორენტინო
132. „... ცოცხი კარგად გვის“
133. მხ/ფ „... ქალაქში“
134. კედლის მანდილი
135. „ბაბუა ... და კურდღლები“
136. ზადი, ხინჯი
137. მწერი
138. მწერალი ... ქიაჩელი
139. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში მიხეილ ...
140. მდინარე ჩინეთში
141. სომხეთის დედაქალაქი

პასუხები: 1. კარტოფილი; 2. ‘ტროა“; 3. საბუდარელი; 4. საფარი; 5. მარია; 6. კალე; 7. დონორი; 8. სტრიპტიზი; 9. ფილიპი; 10. ანატოლი; 11. რაფსოდია; 12. ‘ჰამლეტი“; 13. აპრილი; 14. ბიბილო; 15. მელ; 16. ინდაური; 17. ილინოისი; 18. სომერსეტ; 19. მასკარადი; 20. ნილსი; 21. ჯემალ; 22. ატამი; 23. ბიბი; 24. ვეზირი; 25. აგნია; 26. ინდიგო; 27. კომეტა; 28. ბრედბერი; 29. გლახაკი; 30. არიზონა; 31. ევრიკა; 32. რომ; 33. დიადემა; 34. კარატი; 35. ნიკ; 36. იხვი; 37. ბატატი; 38. აიბოლიტი; 39. სირანო; 40. სილა; 41. გრიმები; 42. დარიჩინი; 43. ჩინი; 44. ჰუსარული; 45. იდეა; 46. რიკი; 47. ასკილი; 48. აიოვა; 49. კრედო; 50. ზანგი; 51. ბაიადერი; 52. ჰაე; 53. ვერმიშელი; 54. კორნეი; 55. პარტიტურა; 56. მაორი; 57. ‘ვოლვო“; 58. ონო; 59. დალაქი; 60. ლინო; 61. მესა; 62. მაკაკი; 63. ცეცე; 64. კარანტინი; 65. ნივ; 66. ედემი; 67. ანკარა; 68. კაილი; 69. კორპორაცია; 70. ‘ლელა“; 71. დარაბებს; 72. კრიკეტი; 73. ლისაბონი; 74. ბილიარდი; 75. ტიმოთი; 76. ბანიონისი; 77. ეკა; 78. ლაქია; 79. ქვაბი; 80. დიეტა; 81. დუდუკი; 82. ირენ; 83. ბელტი; 84. ხერხეულიძე; 85. ბეითალი; 86. ნიუტონი; 87. რიფი; 88. როსინანტი; 89. ელპიტე; 90. ბაქია; 91. ტურგენევი; 92. უთო; 93. ხარი; 94. ამბორი; 95. მომენტი; 96. ემუ; 97. ერი; 98. პირადი; 99. უფლისციხე; 100. ნოემბერი; 101. ხაშური; 102. პუშკინი; 103. უთვისტომო; 104. მანიანი; 105. ავია; 106. ბარდა; 107. სიამი; 108. იაპონია; 109. უნივერსიტეტი; 110. ვისკოზა; 111. იორი; 112. კერკი; 113. აზია; 114. დინ; 115. ნია; 116. პონი; 117. დო; 118. ანატომია; 119. ‘ამელი“; 120. არესი; 121. ისარი; 122. ლენინი; 123. ამაგი; 124. მარკა; 125. გივი; 126. ანტი; 127. ბროილერი; 128. რიზ; 129. კაცია; 130. გიო; 131. ლინდა; 132. ახალი; 133. ორნი; 134. ბრა; 135. მაზაი; 136. ნაკლი; 137. კალია; 138. ლეო; 139. ბოტვინიკი; 140. იანძი; 141. ერევანი. იკითხება: ოდრი ჰეპბერნი.

ასე ამბობენ ხოლმე, თუკი ადამიანს ფული აქვს და ჭკუაც ყოფნის, თანხები აუცილებლად უძრავ ქონებაში უნდა დააბანდოსო...

ვერაფერს იტყვი, სრული ჭეშმარიტებაა, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან ბევრმა გაითვალისწინა და შესაძლებელი გახდა ამ მიმართულებით რეკორდებიც კი დამყარებულიყო.

ჩვენც მსოფლიოს წარმოუდგენელ საყოფაცხოვრებო რეკორდებზე მოგითხრობთ:

– ყველაზე ძვირადღირებული სახლი ერთი ოჯახისთვის ლონდონის ერთ-ერთ ელიტარულ რაიონში მდებარეობს და 2




ბობს მსოფლიოში ყველაზე პატარა სასტუმროც, რომელიც კვლავაც ნისლიან ალბიონზე მდებარეობს. ის თავის თავში ჩვეულებრივ ფურგონს წარმოადგენს, თუმცა, ბუნებრივია, მოდერნიზებულსა და კომფორტულს. სასტუმროში არის ყველაფერი, რაც დასვენებისთვისაა საჭირო: ტელევიზორი, აუდიოსისტემა, მაცივარი, სამზარეულო და რაღა თქმა უნდა, საწოლი. რა ღირს დღე-ღამის გატარება სასტუმროში, რომელიც, სხვათა შორის, მოძრავია და ლონდონის სხვადასხვა რაიონში ჩნდება ხოლმე, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

– ყოფილა მსოფლიოში ყველაზე მოუხერხებელი და არაკომფორტული სასტუმროც, რომელიც ინდოეთში მდებარეობს და... ხის კენწეროზეა შემოდგმული. იმისთვის, რათა დამსვენებელმა გამოძინება და მოსვენება შეძლოს, აუცილებელია ნომერში თოკით აძვრეს.

# მსოფლიოს წარმოუდგენელი საყოფაცხოვრებო რეკორდები



სხვათა შორის, ინდოეთის გარდა, მსგავსი სასტუმრო არცთუ დიდი ხნის წინ გერმანიაშიც გაიხსნა.

– მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული სასტუმრო ჩინეთის ერთ-ერთ ჩრდილოეთ რეგიონში მდებარეობს. მისი რეკონსტრუქციის დროს ერთ დღეში შენობიდან 24 ტონა ნაგავი იქნა გატანილი.

– ახლა ვნახოთ, სად მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი სასტუმრო – ამ შემთხვევაში გაიბრწყინა სინგაპურმა, სადაც დამსვენებლებს 73-სართულიანი კომფორტული შენობა ემსახურება.

– ცნობილია ისიც, რომ არსებობს ყველაზე მაღალ წერტილში მდგარი სასტუმროც, რომელიც შვეიცარიაში მდებარეობს და „ევროპის სახურავი" ეწოდება. ის ზღვის დონიდან 3500 მეტრზეა აშენებული, შეუძლია 700 სტუმრის მიღება, ხოლო მისი აშენება შვეიცარიას თავის დროზე 50 მილიონი ფრანკი დაუჯდა.

ჰექტარზეა გაშენებული. სახლის ამჟამინდელმა პატრონმა უძრავ ქონებაში 100 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე შუა საუკუნეების სასახლე, რომელშიც ცნობილი მომღერალი მადონა ცხოვრობს. სახლში 40 ოთახის გარდა, გამოყოფილია სპორტული დარბაზები, ჩოგბურთის კორტები, ბიბლიოთეკა, აუზები და ასე შემდეგ.



– ბუკინგემის სასახლე მსოფლიოში ყველაზე დიდი საცხოვრებელი სახლია. სასახლეში სულ 605 ოთახია, რომლებსაც მხოლოდ ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრები იკავებენ.

– სხვათა შორის, მსოფლიოს ყველაზე პატარა საცხოვრებელი სახლიც ბრიტანეთში მდებარეობს. მისი სიგანე სულ რაღაც 1,25 სანტიმეტრია. არის მხოლოდ ერთი ოთახი მეორე სართულზე და ციცქნა სამზარეულო პირველზე. სახლი ცოტა ხნის წინ აუქციონზე გაიტანეს, როგორც ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა. მისი საწყისი ფასი 175 ათასი ფუნტი სტერლინგია.




– საცხოვრებელი სახლის გარდა, არსებობს ძალიან კომფორტულ სასტუმროზე გააკეთებს. კომფორტულ სასტუმროში კი ღამის გათენება უსაზღვროდ ძვირი სიამოვნებაა. მაგალითად, ტოკიოს „რიც-კარლტონში" ერთი დღე-ღამე 17 ათას 200 აშშ დოლარი ღირს. ლას-ვეგასის „პალმს კაზინო", რომელიც „ფლეიბოის" დამფუძნებლის, ჰიუ ჰეფნერის საკუთრებაა, ნომერში 40 ათას აშშ დოლარს იღებს, რა თქმა უნდა, ერთ დღე-ღამეში. და რეკორდსმენი სასტუმროა „პრეზიდენტი ვილსონი" ჟენევაში: 24 საათით ერთი ნომრის დაქირავების ფასი 53,4 ათასი აშშ დოლარია.

და.

– ის, ვისაც მოგზაურობა უყვარს და ჯიბეც არ აქვს ცარიელი, ბუნებრივია, არჩევანს ძალიან კომფორტულ სასტუმროზე გააკეთებს. კომფორტულ სასტუმროში კი ღამის გათენება უსაზღვროდ ძვირი სიამოვნებაა. მაგალითად, ტოკიოს „რიც-კარლტონში" ერთი დღე-ღამე 17 ათას 200 აშშ დოლარი ღირს. ლას-ვეგასის „პალმს კაზინო", რომელიც „ფლეიბოის" დამფუძნებლის, ჰიუ ჰეფნერის საკუთრებაა, ნომერში 40 ათას აშშ დოლარს იღებს, რა თქმა უნდა, ერთ დღე-ღამეში. და რეკორდსმენი სასტუმროა „პრეზიდენტი ვილსონი" ჟენევაში: 24 საათით ერთი ნომრის დაქირავების ფასი 53,4 ათასი აშშ დოლარია.

**byaki.net**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## კოლექციონერობამ შესაძლოა, ფსიქიკის პრობლემები გამოიწვიოს?



ერთი შეხედვით, კოლექციონერობაში უარყოფითი საერთოდ არაფერია და პირიქით, გვეგონა, ადამიანზე დადებით გავლენასაც ახდენდა, თუმცა ესპანელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მარკების, ფაიფურის თოჯინების, სამკაულებისა ან ხელოვნების ნიმუშების გროვების ჩვევა შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობის მიზეზი გახდეს.

მათი თქმით, თავსმოხვეულ იდეას, რომ ადამიანმა კონკრეტული ნივთები აგროვოს, სავსებით შესაძლებელია, ძალიან სწრაფად ობსესურ-კომპულსიურ დარღვევაში გადაიზარდოს, ფსიქიკურ ანომალიაში, რომლითაც დღეის მდგომარეობით მსოფლიოს მოსახლეობის 12 პროცენტი იტანჯება.

იმ დრომდე, სანამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჰობი კონტროლს ექვემდებარება, ის ადამიანს პოზიტიური ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, მაგალითად, ხდის მიზანმიმართულს, მომთმენს და მეხსიერებასაც უვითარებს, მაგრამ საკმარისია, კოლექციონერობა კონტროლის საზღვრებს გასცდეს, ფსიქიკის შერყევაც არ აყოვნებს.

**ami-tass.ru**

## რატომ მძიმდება ნაბახუსევი ასაკის მატებასთან ერთად?



თურმე, რაც უფრო ასაკში გადადის ადამიანი, მით უფრო მეტად უჭირს ალკოჰოლის მიღება და შესაბამისად, ნაბახუსევიც გაცილებით რთულ ფორმებში ვლინდება.

სპეციალისტების განმარტებით, წლების მატებასთან ერთად, ადამიანის ორგანიზმი სპეციალურ ფერმენტებს – ალკოჰოლდეჰიდროგენაზს ნაკლები რაოდენობით გამოიმუშავებს, რომლის მოვალეობაც ეთანოლის ჯერ აცეტალდეჰიდად, შემდეგ კი უსაფრთხო ნივთიერებად გადამუშავებაა.

თირკმლებში აღნიშნული ფერმენტები დიდი რაოდენობით მოიპოვება, თუმცა მათი გამომუშავება დამოკიდებულია როგორც ასაკზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე ადამიანის რასაზეც.

ალკოჰოლის ხშირი მოხმარების შედეგად, ფერმენტი თავის აქტიურობას კარგავს. ამას ემატება ასაკის მატებაც და საბოლოო ჯამში, შედეგი ის არის, რომ რაც უფრო სოლიდურია ადამიანის ასაკი, მით უფრო რთულად გადააქვს მას თრობა და ნაბახუსევი.

**doctor-prof.ru**



– სურენჩიკ, ეს 8 მარტი ვინ გამოიგონა?

– რა ვი, გონი კლარა ცეტკინმა.

– და რათა?

– ეგ აღარ ვიცი. ალბათ, ყვავილებსა ყიდდა...

*****

– ისე არაფერი ავითარებს ლოგისტიკის უნარ-ჩვევებს, როგორც სამი საყვარლის ყოლა...

*****

– აბრამ, სექსზე რას ფიქრობ?

– აბა, რას მეუბნები, ჩემო მოშე?! ექვსი შვილის მამა ვარ, სად მცალია თეორიისთვის?!

*****

– დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და:

1. მუდმივად ვიბან ხელებს!

2. ვიცი, რომ მოვკვდები და მესმის, რომ ამას ვერაფრით შევცვლი...

3. ვიცი, საიდან და როგორ ჩნდებიან ბავშვები!

4. პრაქტიკულად, არ არსებობს ისეთი თემა, რომელიც მადას დამაკარგვინებს!

5. ძალიან მეშინია ექიმების! განსაკუთრებით, ჩემი თანაკურსელების!!!

*****

– ჩემი ცოლი სულ ალენ დელონს მადარებს.

– ჰო, მაგრამ საერთო არაფერი გაქვთ და...

– ჰოდა, ისიც სულ ასე მეუბნება ხოლმე!

*****

– შვილო, ნუ დადიხარ ყოველდღე დისკოთეკაზე, თორემ დაყრუვდები!

– მადლობა, დედა, უკვე ვისადილე!

*****



– მამიკო, მანქანა რატომ არ გვყავს?

– იმიტომ, შვილო, რომ დედაშენი ქურქში უფრო თბილად გრძნობს თავს!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ვინც არ რისკავს... ტვინი ნელა უმუშავებს



მხოლოდ შამპანურის გარეშე კი არ რჩება ისეთი ადამიანი, ვისაც გარისკვა არ უყვარს, არამედ, ტვინის მუშაობის მხრივაც არ არის საუკეთესო მდგომარეობაში.

პრისტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს: რისკის სიყვარული პირდაპირ კავშირშია თავის ტვინის მუშაობის სისწრაფესთან.

ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: მოხალისეებს უნდა წაეკითხათ ეკრანზე გამოჩენილი ფრაზები, რომლებიც ძალიან სწრაფად იცვლებოდა. გარკვეულმა კატეგორიამ დავალებას თავი წარმატებით გაართვა, ზოგს კი ფრაზების წაკითხვა ძალიან გაუჭირდა.

ამის შემდეგ მოხალისეებს აზარტული თამაშები შესთავაზეს, სადაც გამარჯვება დიდწილად სწორედ გარისკვაზე იყო დამოკიდებული.

საბოლოო ჯამში, გაირკვა, რომ უფრო ხშირად რისკზე მიდიოდნენ ის რესპონდენტები, რომლებმაც კვლევის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარეს.

*pronowosti.ru*

## ძვლების ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა... მეტრო



გეგონათ, თბილისის მეტროპოლიტენი მატარებლების მოდერნიზებაზე რომ მუშაობდა, მხოლოდ გარეგნული მხარის გაუმჯობესების მიზანი ჰქონდა? შემცდარხართ, რადგან უწყების მესვეურებს ამერიკელ მეცნიერებზე დიდი ხნით ადრე სცოდნიათ, რომ მეტროთი მგზავრობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მოვლენაა... უი, ისემც მაგათ ჩაეფუშოთ „პარკიშკები“ და მემანქანეებმა სულ „ხალტურაზე“ იმუშაონ!

სინამდვილეში, მეტროთი მგზავრობის დადებით მხარეებზე ამერიკელი მეცნიერები მართლაც ალაპარაკდნენ, რომლებიც განმარტავენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამ სახეობის გამოყენება განსაკუთრებულ დახმარებას ხანშიშესულ ადამიანებს უწევს, რადგან ვიბრაცია, რომელიც მატარებლის შემადგენლობის მოძრაობას ყოველთვის თან ახლავს, თურმე, ძლევის სიძლიერეს განაპირობებს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ჯორჯიას შტატის სამედიცინო კოლეჯის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებმაც ექსპერიმენტში ლაბორატორიული თაგვები ჩართეს. კერძოდ, 12 კვირის მანძილზე მღრღნელებზე მექანიკური ვიბრაციის გავლენას ახდენდნენ.

შედეგებმა აჩვენა, რომ ვიბრაცია ძვლების სიმკვრივესა და სიძლიერეს უზრუნველყოფს. განსაკუთრებით სასარგებლო კი „მიწისქვეშა ეფექტი“ აღმოჩნდა, თუმცა როგორ და რა მიზეზით, არ ზუსტდება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjulia.ru*

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**7 მარტი:** დღეს საკუთარ სიმართლეში ვინმეს დარწმუნება გაგიჭირდებათ. ნურც შეეცდებით, უბრალოდ, მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ თვლით. მართალი რომ ხართ, მოგვიანებით დარწმუნდებიან.

**კურო 22.04-21.05**

**7 მარტი:** იმდენად ენერგიულად იმოქმედებთ, ყველას გააკვირვებთ და მათი გაკვირვება კიდევ უფრო მეტ სტიმულს შეგმატებთ. ჯანმრთელობას მოუფრთხილდით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**7 მარტი:** ნებისმიერი ექსპერიმენტი თავისთავად სარისკოა, მაგრამ თუ არ ცდით, ვერ გაიგებთ. შეუდექით საქმეს, მაგრამ წინდახედულად – თავი დაიზღვიეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**7 მარტი:** რაღაცა მიზნის მისაღწევად წარმოუდგენლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, მაგრამ შედეგი შეიძლება ვერ მიიღოთ. იქნებ ამ საქმეს სულაც არ მოკიდოთ ხელი.

**ლომი 23.07-22.08**

**7 მარტი:** დღეს წინასწარმეტყველივით დაგიწყებენ ყურებას. იმის მიუხედავად, რომ ვერ მიხვდებით, რატომ უნდათ მაინცდამაინც თქვენი რჩევები, რენომეს შენარჩუნება მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**7 მარტი:** შეიძლება საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყოთ. ნუ იტანჯებით, იმის მიუხედავად, რომ არ იცით, რა გააკეთოთ, ყველაფერი ძალიან იოლად გამოგივათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**7 მარტი:** სანამ ისეთ რამეს იტყვით, რასაც მომავალში შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს, ყველაფერი კარგად გაიაზრეთ. შეიძლება დიდი შეცდომა დაუშვათ.

**მორიელი 23.10-21.11**

**7 მარტი:** თუ ბოლო დღეებში ძალიან დატვირთული იყავით, შეგიძლიათ, შვებით ამოისუნთქოთ. დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება, მაგრამ თუ მოხდა, მასში თქვენი აქტიური მონაწილეობა საჭირო არ იქნება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**7 მარტი:** რომანტიკულმა ურთიერთობებმა შეიძლება უმაღლეს წერტილს მიაღწიოს. ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ მოიქცევით. წინდახედული იყავით, მაგრამ არა მშიშარა.

**თხის რქა 22.12-19.01**

**7 მარტი:** თქვენი მთავარი კოზირი გულწრფელობა იქნება. ასეთი ტაქტიკა ყველაზე მრისხანე მეტოქის დამარცხებაშიც კი დაგეხმარებათ.

**მერწყული 20.01-18.02**

**7 მარტი:** დღეს ისეთი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ, რომელიც დიდი ხანია, დავიწყებული გქონდათ. არცთუ სასიამოვნო სამუშაო გელით, მაგრამ მისი გადადება არ შეიძლება.

**თევზები 19.02-20.03**

**7 მარტი:** დღეს მხოლოდ გონების კარნახით არ იმოქმედოთ, საკუთარ ინსტინქტსაც მიენდეთ, ოღონდ არა საგზაო მოძრაობის წესებთან მიმართებაში.

## ადამიანებს ინსულტი აღარასოდეს დაემართებათ?!



როგორც ჩანს, ნანოტექნოლოგიები კაცობრიობისთვის დახმარების აღმოჩენას რეალურად იწყებს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ ჰარვარდის სამედიცინო სკოლისა და მასაჩუსეტსის ტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტები – მათ შექმნეს უმცირესი ნაწილაკები, რომელსაც ადამიანის არტერიების გასუფთავება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია.

სწავლულების ინფორმაციით, მათი გამოგონება ჯერჯერობით კვლავაც ტესტირების რეჟიმშია, თუმცა, თუკი სასურველი შედეგების მიღება მოხერხდება და მისი მასობრივი წარმოება დაიწყება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე მილიონობით ადამიანი დიდ შეღავათს მიიღებს.

ცნობილია, რომ მეცნიერებმა თავიანთ გამოგონებას ნანობურღი დაარქვეს. თურმე, ნაწილაკები ადვილად აღწევენ ძარღვების სისტემაში და ნებისმიერ არასაჭირო წარმონაქმნს, რომელიც სისხლის მიმოქცევას ხელს უშლის – „ბურღავენ“. რაც მთავარია, ნანონაწილაკები ჯანმრთელ ძარღვებს ზიანს არ აყენებენ და მხოლოდ დაზიანებულ ადგილებს კურნავენ.

– გამოგონების წყალობით, შესაძლებელი გახდება ისეთი საშინელი დაავადების დამარცხება, რომელსაც ინსულტი ეწოდება – ნანონაწილაკები ნებისმიერ სისხლჩაქცევას გაუმკავლდებიან. უბრალოდ, მთავარია, ინექციის სახით ორგანიზმში მათი თავის დროზე შეყვანა, – განმარტავენ მეცნიერები.

ამ დროისთვის, ნაწილაკების ტესტირება ლაბორატორიულ ცხოველებზე მიმდინარეობს და მკვლევარები, თურმე, საკმაოდ შესანიშნავ შედეგებსაც იღებენ. ამდენად, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მისი მასობრივი წარმოება უახლოეს მომავალში დაიწყოს.

*myjane.ru*

## ნიდერლანდებში ფრჩხილების მკვნეტელთა სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნას აპირებენ

ხანდახან ისე გემრიელად ჩააფრინდებიან ხოლმე ფრჩხილებს ზოგიერთები, შეიძლება, ნერწყვიც კი მოგადგეს კაცს, მაგრამ ეს საშინლად მავნე ჩვევა ხომ არაერთი დაავადების განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის და სწორედ ამ მიზეზით, ნიდერლანდებში მიმდინარე წლის სექტემბერში, მსოფლიოს მასშტაბით, პირველ სარეაბილიტაციო ცენტრს გახსნიან, რომელიც ფრჩხილების მკვნეტელებს მოემსახურება.

როგორც ირკვევა, ცენტრი ქალაქ ვენლოში უნდა გაიხსნეს, რომლის მესვეურებიც ამტკიცებენ, რომ მათ ფრჩხილების კვნეტისგან გადაჩვევის საკმაოდ ეფექტური საშუალება აქვთ გამოგონილი, თუმცა კონკრეტულად რას ითვალისწინებს ის, გასაგები მიზეზების გამო, არ კონკრეტდება.

საინტერესოა, რომ ახალი მეთოდის დახმარებით, ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე, ნიდერლანდელ სპეციალისტებს მავნე ჩვევისგან 100-დან 85 ადამიანი გაუთავისუფლებიათ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*factroom.ru*



მოკრივე ვარჯიშობს, სულ გაიოფლა, მოძრაობს, არ ჩერდება. გრძნობს, რომ საუკეთესო ფორმაშია. ეძახის მწვრთნელს:

– მორჩა, მზად ვარ! მოათრიე ერთი აქ ეს ტაისონი თუ ვიღაც ჩემი ფეხები!

– კაცო, რამდენჯერლა გითხრა, რომ ტაისონი შენ ხარ, შენ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.53